

# 24 საათი

"24 საათის" ფიქციანი ნომერი

\*2424

იხილეთ ჩანართი



საქართველო-სომხეთის ურთიერთობის რუსული ფონი

A3



ბრიტანული სკანდალი კოლიტიკური ელფარით

A7



## ბელარუსი არ შედის "კოლხოზში"

კონფლიქტი, ქართული აზრდით

დოიჩერი ავალნიანი

საქართველოს, მოლდოვასა და პოლონეთის შემდეგ რუსეთმა ეკონომიკური ემბარგო საკუთარი უახლოესი მოკავშირის - ბელარუსის წინააღმდეგ შემოიღო. ამის მთავარი მიზეზი კი გახდა ამ ქვეყნის უარი აფხაზეთის და სამხრეთ ოსეთის დამოუკიდებლობის აღიარებაზე. მოსკოვსა და მინსკს შორის ვითარება მას შემდეგ დაიძაბა, რაც ბელარუსის პრეზიდენტმა რუსეთი შანტაჟში ლიად დაადანაშაულა. ექსპერტები აცხადებენ, რომ რუსეთის ზეწოლის მთავარი მიზანია, არ დაუშვას ბელარუსის დასავლეთისკენ შემობრუნება.

თავისი მთავარი იარაღი ბელარუსის წინააღმდეგ რუსეთმა შაბათს გამოქმედა. ქვეყნის მთავარმა სანიტარმა გენადი ონიშჩენკომ ხუთასზე მეტი დასახელების ბელარუსული რძის პროდუქტის რუსეთში იმპორტის აკრძალვის შესახებ განაცხადა. ამისთვის ფორმალური საბაზი გახდა ამ პროდუქტის შეუსაბამობა "ახალ ტექნიკურ რეგლამენტთან", რომელიც ძალაში გასული წლის დეკემბერში შევიდა.

ბაზრძალვა A3 გვირდვა



რძის პროდუქტის ექსპორტიდან ბელარუსის ბიუჯეტში ყოველწლიურად ერთი მილიარდი დოლარი შედიოდა.

## ოპოზიციონარი ხაჭიბა და დაბლოკილი პრესა

აფხაზეთის სეპარატისტული მთავრობის ყოფილი ვიცე-პრეზიდენტმა რაულ ხაჯიბამ სოხუმის მოქმედ რეჟიმს ახალი ბრალდებები წაუყენა. გუშინ გამართულ პრესკონფერენციაზე მან წარადგინა "უშიშრობის საბჭოზე" მიღებული დოკუმენტი, რომლის თანახმადაც, ენგურის სანაპიროს გასწვრივ მდებარე ტერიტორია რუსეთის სრულ განკარგულებაში გადაეცემა. ხაჯიბამ თქმით, იგი ამ პროექტის წინააღმდეგ გამოვიდა და ალტერნატიული პროექტიც წარადგინა, თუმცა უშიშროების საბჭომ მისი ინიციატივა არ მიიღო. ხაჯიბამ სოხუმის რეჟიმის ამ გადაწყვეტილებას ბაგაფშის მცდარი პილიტიკის ნაწილი უწოდა.

რაულ ხაჯიბა, ბაგაფშის რეჟიმთან უთანხმოების მიზეზით, 28 მაისს თანამდებობიდან გადადგა. მას შემდეგ, რაც აფხაზურ მედიამ გაჩნდა კრიტიკული პუბლიკაციები, რომლებიც ეხებოდა სოხუმის მიერ რუსეთისთვის რკინიგზისა და ინფრასტრუქტურის სხვა ობიექტების გადაცემის გეგმებს, აფხაზურ პრესას მოულოდნელად პრობლემები შეექმნა. კერძოდ, გასულ კვირაში დამოუკიდებელ გაზეთებს "ჩეგემსკაია პრავდას" და "ნუჟნაია გაზეტას" სოხუმის სტამბებმა დაბეჭდვაზე უარი უთხრეს. გაზეთების დაბეჭდვა ვერც სოჭში მოხერხდა. ამის შედეგად "ჩეგემსკაია პრავდას" ბოლო ნომერი არ გამოუსულა, "ნუჟნაია გაზეტას" ნომერი კი კუსტარულ პირობებში, რიზოგრაფის საშუალებით დაბეჭდა. საკუთარი ინფორმაცია

## "აქსიისთვის კარგი ამინდია"

გუშინ არასაპარლამენტო ოპოზიციის ლიდერებმა მხარდამჭერებს დღეს 12:00 საათზე პარლამენტის შენობის წინ შეკრებისაკენ მოუწოდეს - საპროტესტო აქციების ორგანიზატორებს შინაგან საქმეთა სამინისტროსკენ მსვლელობა აქვთ დაგეგმილი. გარდა ამისა, დღეიდან რეგიონებში გადის "ეროვნული ფორუმი". როგორც "ფორუმის" ლიდერმა კახა შარტავამ გუშინდელ პრესკონფერენციაზე განაცხადა, პარტიის ლიდერები უკვე გაემგზავრნენ აჭარაში და შეხვედრების პირველი ეტაპი 9-15 ივნისამდე გაიმართება, შემდეგ კი შარტავას პარტია აღიგნის რაიონში აპირებს გადასაცვლებას.

დათო ბაჩისონია

სანამ დასახული გეგმების რეალიზებას დაიწყებენ, არასაპარლამენტო ოპოზიციის ლიდერებმა გუშინ კომუნიკაციების მარეგულირებელ კომისიასთან ტელეკომპანია "მაესტროსთვის" სატელიტური მაუწყებლობის უფლებების მიცემა მოითხოვეს. მათთან ერთად იყვნენ რამდენიმე მედიასაშუალების წარმომადგენლებიც: მამუკა ლლონტს, ლაშა ტულუშს, ელისო ჩაფიძეს, თამარ ჩიქოვანს, ალექო ელისაშვილს, ნათია მიქიაშვილს, ნინო ჯანგირაშვილს, დავით აქუბარ-

დას და სხვებს პირზე დოლბანდი ჰქონდათ აფარებული. შეკრებილებს ეჭირათ ტრანსფორანტები წარწერით - "თავისუფლება სიტყვას". მოგვიანებით აქციის მონაწილეებს ტელეკომპანია "მაესტროს" გადაცემა "საკანი №5"-ის წამყვანი გია გაჩეჩილაძე შეუერთდა. "მაესტრო" ითხოვს თანამგზავრულ მაუწყებლობას, რასაც ლიცენზია არ სჭირდება. ლიცენზია ახლა სწორედ იმიტომ მოიგონეს, რომ "მაესტრო" რეგიონებში არ გავიდეს," - განაცხადა გაჩეჩილაძემ.

ბაზრძალვა A2 გვირდვა

**24 საათი**

"24 საათის" ელექტრონული ვერსია იხილეთ Web-გვერდზე [www.24saati.ge](http://www.24saati.ge)

ჩვენი პარტნიორები:

**თიბისი ბანკი TBC BANK**  
ჩვენ ვაძლიერებთ ერთმანეთს

**GRDC group**

**პენის სადაზღვეო ჯგუფი**





# გეგმა, როგორც ქართული ეკონომიკის კრიზისი უნდა დაძლიოს

თამარ ხორბალაძე

მთავრობის ანტიკრიზისული გეგმა განხილვისა და წინააღმდეგობის საგანი მანამდე ხდება, ვიდრე მთავრობა მას ოფიციალურად გამოაქვეყნებდეს. კრიტიკის იმის თაობაზე, რომ ნახევარი წლის გასვლისა და ბიუჯეტის გარღვევის მიუხედავად, ხელისუფლებამ ეკონომიკური კრიზისის დაძლევის საკუთარი გეგმა ვერ წარმოადგინა, ხელისუფლებამ ამ გეგმის რამდენიმე დეტალის გახმობა და ერთ-ერთ კვირაში მისი პრეზენტაციის შეპირებით უპასუხა.

ანტიკრიზისული გეგმის ჯერჯერობით ვაცხადებული შემადგენელი ნაწილებია: საბიუჯეტო ცვლილებები, ახალი საფინანსო პაკეტი ანუ სახაზინო ვალდებულებების გამოშვება, და საერთაშორისო პროექტების განხორციელება. იქიდან გამომდინარე, რომ ჩამოთვლილთაგან უკანასკნელზე საკმაოდ ცოტა რამაა ცნობილი, ჩვენ პირველ ორ კომპონენტზე უფრო დეტალურად შევჩერდებით.

## საბიუჯეტო ცვლილებები

მოსალოდნელი საბიუჯეტო ცვლილებებისა და "ქაშერის შემოჭერის" შესახებ განცხადება საქართველოს პრემიერმა ნიკა გილაურმა ჯერ კიდევ გაპრემიერების პირველ დღეებში გააკეთა. თუმცა, როგორც დღეს აღმოჩნდა, საბიუჯეტო ცვლილებები პარლამენტს 2009 წლის ბიუჯეტში დღემდე არ დაუმტკიცებია. ხელისუფლება ამის ერთ-ერთ მიზეზად შექმნილ პოლიტიკურ ფონს ასახელებს. ამ პოლიტიკური ფონის წყალობით ჯერჯერობით ისიც უცნობია, თუ როდის იმსჯელებს საქართველოს პარლამენტი ახალ ანტიკრიზისულ პაკეტზე, რომლის შემადგენელი ნაწილიცაა ამჯერად საბიუჯეტო ცვლილებები და რომლის დეტალებიც ამ დღეებში გახდა ცნობილი.

პირველი შოკი ექსპერტებისთვის იმის გაგება იყო, რომ არსებული საშემოსავლო პრობლემების ფონზე ხელისუფლება ბიუჯეტის 312 მილიონი ლარით გაზრდას გეგმავს. თუმცა ფინანსთა მინისტრისა და პრემიერის განმარტებებმა, რომლის თანახმადაც მთელი ეს ოპტიმიზმი განტეხის შემოსავლის პერსპექტივაზეა დამყარებული, ეს ნაბიჯი შედარებით გასაგებია გახდა.

სხვათა შორის, ახალი საბიუჯეტო ცვლილებებით საქართველოს ხელისუფლება აღიარებს, რომ ბიუჯეტის საგადასახადო შემოსავლების მხრივ ქვეყანაში პრობლემები არსებობს - ამის აღიარება სწორედ ის ფაქტი, რომ 2009 წლის ბიუჯეტში ცვლილებები განხორციელდება - ბიუჯეტის შემოსავლების მთლიანად დაგეგმილი 5 510 161 ათასი ლარის ნაცვლად, ცვლილების შესაბამისად 5 137 516 ათასი ლარით განისაზღვრება, მათ შორის გადასახადები - 4 მლრდ 760 მლნ ლარის ნაცვლად, 4 მლრდ 260 მლნ ლარით. საგადასახადო შემოსავლების შემცირებაში ყველაზე დიდი წილი დამატებითი ღირებულების გადასახადზე (314 მლნ ლარი) და მოგების გადასახადზე (83 მლნ ლარი) მოდის.



ქაშერის შემოჭერის შესახებ განცხადება საქართველოს პრემიერმა ნიკა გილაურმა ჯერ კიდევ გაპრემიერების პირველ დღეებში გააკეთა

ამ შემცირებული შემოსავლების გადაფარვას, და მეტიც - ბიუჯეტის გაზრდას, ემსახურება ცვლილება მოსალოდნელი გრანტები გრაფაში. ამ ცვლილების თანახმად, გრანტები 110 მლნ 503 ათასი ლარით იზრდება, თანხა მთლიანად ინფრასტრუქტურული პროექტების განსახორციელებლად მიიმართება. ასევე, სხვა შემოსავლების ზრდა 16 მლნ 852 ათას ლარს შეადგენს. არაფინანსური აქტივების კლებით მიღებული სახსრების ზრდა 134 მლნ 950 ათას ლარს შეადგენს, რაც გამოწვეულია "ჯეოსელის" (39.3 მლნ ლარი) და "მაგთიკომის" (36.9 მლნ ლარი) ლიცენზიების 10 წლის ვადით გაგრძელებით, ასევე ნავთობისა და აზოტის ლიცენზიებთან დაკავშირებული შემოსავლების მობილიზებით (57.7 მლნ ლარი). ვალდებულებების ზრდა 536 მლნ 582 ათასი ლარის ნაცვლად 1 მლრდ 034 მლნ 503 ათას ლარზეა განსაზღვრული, მასში გათვალისწინებულია მსოფლიო ბანკისა და აზოტის განვითარების ბანკის საბიუჯეტო კრედიტები 141.3 მლნ ლარის მოცულობით და გრძელვადიანი საინვესტიციო კრედიტები - 96.7 მლნ ლარი. ნელსვე იგეგმება 260 მლნ ლარის ღირებულების სახაზინო ვალდებულებების გამოშვება.

რაც შეეხება ხარჯების სტრუქტურას - როგორც იცით, თავდაპირველად აღნიშნული ცვლილებები "ქაშერის მოჭერის" ლოზუნგით დაიგეგმა, რაც ადმინისტრაციული ხარჯების შემცირებითა და მათი ინფრასტრუქტურულ პროექტებზე გადასროლით, ანუ ეკონომიკაში ჩაშვების აუცილებლობით აიხსნა.

შემოთავაზებული ცვლილებებით, 45 მლნ ლარით მცირდება თავდაცვის სამინისტროს დაფინანსება, 19 მლნ ლარით - ფინანსთა სამინისტროსი, 9.5 მლნ ლარი აკლდება რეგიონული განვითარების და ინფრასტრუქტურის სამინისტროს, 3.6 მლნ ლარი - გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტროს. სოფლის მეურნეობის სამინისტროს ადმინისტრაციული ხარჯები 1.9 მლნ ლარით შემცირდება, პრეზიდენტის ადმინისტრაციისა - 1.7 მლნ ლარით, მთავრობის კანცელარიის - 1 მლნ ლარით, სხვადასხვა ორგანიზაციების დაფინანსება - 17.4 მლნ ლარით, სასოფლო სამეურნეო ტექნიკის განახლებისთვის გათვალისწინებული სახსრები კი 14.7 მლნ ლარით შემცირდება, რადგან აღნიშნული ტექნიკა იაპონიის გრანტის ფარგლებში იქნა შეძენილი.

როგორც უკვე აღვნიშნეთ, ეს თანხები, ბიუჯეტისთვის მომატებული 312 მილიონთან ერთად, ინფრასტრუქტურული პროექტებისა და სახაზინო ვალდებულებების სახით "ეკონომიკაში უნდა იყოს ჩაშვებული". არსებული ინფორმაციით, ამ თანხიდან 25 მილიონი ლარი რთველზე დაიხარჯება, 86 მილიონი ლარი კი სამცხე-ჯავახეთის გზების შეკეთებას მოხმარდება. 113 მილიონი ლარი რეგიონალური ინფრასტრუქტურების მონესრიგებისთვის გამოიყოფა, 16 მილიონი ლარი კი დევნილებისათვის სოციალური მდგომარეობის გაუმჯობესებას მოხმარდება.

პრემიერი გილაური ირწმუნება, რომ ამ გადაწყვეტილების ეფექტს, ეკონომიკის ამუშავების სახით, საზოგადოება სამომდგომოდ დაინახავს. ექსპერტთა ნაწილის აზრით, საშემოდგომოდ ბიუჯეტს გარღვევა ელის, 2009-2010 წლებში ასათვისებული საერთაშორისო დახმარებების მთელი რესურსის ერთბაშად გამოყენების წყალობით კი ქვეყანას 2010 წლისთვის საკმაოდ მძიმე მემკვიდრეობა დარჩება, ამ დახმარებებში შემავალი კრედიტების გასტიკრიზისული ვალდებულების ჩათვლით. რომელი პროგნოზი გაამართლებს, ამაზე უპასუხი, ცხადია, იმავე შემოდგომაზე გახდება ცნობილი.

ბანკების დახმარება ქართული ბანკების ლიკვიდურობის შენარჩუნებასა და საბანკო სექტორის სტაბილურობის მხარდაჭერას ემსახურება მთავრობის ანტიკრიზისული გეგმის შემადგენელი კიდევ ერთი ნაბიჯი - 260 მილიონი ლარის სახაზინო ვალდებულებების გამოშვება.

## ბანკების დახმარება

მთავრობა ამ ნაბიჯით, ერთის მხრივ, საკუთარ ხაზინას ავსებს, მეორეს მხრივ კი - ბანკების დახმარებას გეგმავს, რომელთაც გარანტირებული შემოსავლის გაჩენის საშუალებას აძლევს. გადაწყვეტილებას თავად ბანკები, ცხადია, ინტერესით ხვდებიან. მაგალითად "თი-ბი-სი"-მ, "ეიჩ-ეს-ბი-სი"-მ და სხვებმა შედიასთან საუბარში უკვე დაადასტურეს, რომ სიამოვნებით მიიღებენ მონაწილეობას აუქციონებში ამ ფასიანი ქაღალდების შესაძენად. თუმცა, ექსპერტების მხრიდან ამ გადაწყვეტილებას თითქმის ასეთივე ერთსულოვანი ნინალმდეგობა შეხვდა. ამ თემამ თითქმის შეარიგა ისეთი შეურიგებელი ოპონენტებიც კი, როგორებიც ლადო პაპავა და კახა ბენდუქიძე არიან. ისინი

უურნალისტებთან კომენტარში აცხადებენ, რომ ხელისუფლების ეს გადაწყვეტილება ქართული ბიზნესისთვის სესხების აღებას კიდევ უფრო გაართულებს და ბაზარზე არსებულ საკრედიტო შიმშილს კიდევ უფრო გაზრდის. ბანკებს, ცხადია, ურჩევნიათ საკუთარი, ისედაც საკმაოდ შემცირებული ფინანსური რესურსი მთავრობას (ანუ ბიუჯეტს) ასესხონ, რომელიც დღევანდელ არასტაბილურ ეკონომიკურ ვითარებაში გაცილებით უფრო ნაკლებობისკენი პარტნიორია (ბოლოს და ბოლოს, მისგან ფულის ამოღება საბიუჯეტო სექვესტრების დროსაც შესაძლებელია, გაკოტრებულ ბიზნესს კი აქტივების გაუფასურების პირობებში დიდს ვერაფერს გამოიჩინებ, ვიდრე კრიზისში მყოფი ქართული ბიზნესი).

სწორედ ამავ არგუმენტებიდან გამომდინარე, აღნიშნული გადაწყვეტილება მიუღებელია ქართული ბიზნესის წარმომადგენლებისთვისაც - მათთვის დღეს კრედიტების აღება ისედაც გართულებული და გაძვირებულია.

ამიტომ ეს არის თემა, რომელსაც ანტიკრიზისული პროგრამის ოფიციალურად პრეზენტაციის შემდეგ, სავარაუდოდ, ყველაზე აქტიურ წინააღმდეგობას შეხვდება ბიზნესისა და ექსპერტების მხრიდან.

სხვათა შორის, ამ სტიმულირების პაკეტში არ შედის, თუმცა საინტერესოა მთავრობის კიდევ ერთი გადაწყვეტილება, რომელიც ასევე ბანკების მხარდაჭერას ისახავს მიზნად - მთავრობას მომზადებული აქვს ცვლილება სამოქალაქო კოდექსში, რომელიც იპოთეკით დატვირთული უძრავი ქონების გაყიდვას ბანკებისთვის ამარტივებს. ცვლილების თანახმად, ქონების გადაცემა-რეალიზაციისთვის სასამართლოს გადაწყვეტილება აღარ იქნება აუცილებელი და ამ ოპერაციის განხორციელება ნოტარიუსის სააღსრულებლო ფურცლის საფუძველზეც გახდება შესაძლებელი. გადაწყვეტილება, რომელიც ბანკებისთვის კრედიტების ამოღების გზაზე სასამართლო გარჩევასთან დაკავშირებული ვადებისა და ხარჯების თავიდან აცილებას გულისხმობს, ექსპერტთა დიდი ნაწილის აზრით, ბანკების კრედიტორებს აბსოლუტურად დაუცველ მდგომარეობაში აგდებს. ასე რომ, ეს საკითხიც, სავარაუდოდ, ბიზნესრეგულაციის სერიოზული განხილვის საგნად შეიძლება იქცეს.

## და ბოლოს

ყველა აღნიშნული (თუ სხვა, ჯერ გაუხმაურებელი) გადაწყვეტილების რეალიზაციისთვის შესაბამისი საკანონმდებლო ბაზა შესაქმნელი იქნება ეს საბიუჯეტო ცვლილებები თუ ცვლილებები სხვადასხვა კანონში, ამას კი, ცხადია, საქართველოს პარლამენტის გადაწყვეტილება სჭირდება. იმ პარლამენტის, რომლის საგაზაფხული სესიის მუშაობა, ხელისუფლების მიერ არაღიარებული პოლიტიკური კრიზისის გამო, პრაქტიკულად შეჩერებულია. ასე რომ, ჯერ გამოუქვეყნებელი ანტიკრიზისული გეგმის დეტალების კარდა, კითხვები ამ გეგმის პარლამენტის მიერ განხილვის ვადებთან და შესაძლებლობასთან დაკავშირებითაც ჩნდება.







სტაბილურობისთვის...  
 სიმშვიდისთვის...  
 გარანტირებული  
 სარგებლისთვის...

მიენდეთ საბანკო აზრს, რომელსაც მსოფლიოში მილიონობით მეანაბრე  
 ენდობა!




ბანკი რესპუბლიკა  
 BANK REPUBLIC

ჯგუფი სოსნიტა ჟანარალი



# "გამოტანარი" ანატანარი

## გახსნადი!



თანხის შეტანა - გატანა ნებისმიერ დროს

გამოტანა ნებისმიერი ბანკომატიდან

10% - მდე სარგებელი

თანხის გატანა ბანკ „რესპუბლიკის“ ფილიალებიდან - უფასო

ტელ.: (822) 90 90 (90)  
 მობილურიდან: \*90 90  
[www.republic.ge](http://www.republic.ge)

ბასა ჯანიკაშვილის სპეციალური

# უფროსი და უმცროსი, ანუ სტუმრად კვარტეტთან

მზენა მახარაძე



## ინტერვიუ ოცდამეხუთე დემოკრატიის მეორე ტალღა

ჩემი სტუმარია ჟურნალისტი, მესამე არხის წამყვანი ჟურნალისტი ელისაბედ მოგაძე. ქალბატონი ელისაბედ მოგაძე უკვე რამდენიმე წელია მესამე არხის საინფორმაციო ხელმძღვანელია. საინფორმაციო გამოშვება "სიმართლის" გადაცემები საზოგადოებაში არაერთგვაროვან რეაქციას იწვევს. ამიტომაც, გადაწყვიტე მასთან გასაუბრება და ზოგიერთ დეტალზე მისი ყურადღების გამახვილება.

**ბ.ჯ.** - ბასა ჯანიკაშვილი - ქალბატონი ელისაბედ მოგაძე, როგორ შეაფასებდით თქვენი საინფორმაციო გამოშვების მუშაობას? არის ის ობიექტური თუ მიკერძოებული?

**ე.მ.** - უნდა უნდა ობიექტურად ჩვენ არხის ყველა თანამშრომელი პროფესიონალია და კარგად იცის, როგორ გააჩინოს ტყუილ-მართალი.

**ბ.ჯ.** - საინფორმაციო გამოშვება "სიმართლეში" ხშირად უცხოურ პრესაში დაბეჭდილი სტატიების ციტირებას აკეთებთ. როგორც წესი, თქვენ ხელისუფლების პოზიტიურ ნაბიჯებზე და ოპოზიციის კრიტიკაზე ამახვილებთ ყურადღებას. მაინტერესებს, ევროპის რომელ საინფორმაციო გამოშვებებში გინახავთ მსგავსი სტატიების ტელევიზიით ციტირება? ძნელი წარმოსადგენია გერმანულმა სატელევიზიო არხმა, ვთქვათ, ფრანგულ პრესაში დაბეჭდილი სტატიის ციტირება მოახდინოს.

**ე.მ.** - მართალია, ევროპის არც ერთ ქვეყანაში საგაზეთო სტატიები არ მოყვანთ მაგალითებად, მაგრამ ჩვენ ვითვალისწინებთ საზოგადოების ინტერესს და იმას, რომ ევროპული გაზეთები ჩვენთან არ ვრცელდება, ამიტომ გადაწყვიტეთ ასეთი სახით გავაცნოთ მასწავლებლს რა იბეჭდება ევროპაში ჩვენზე.

**ბ.ჯ.** - კარგით, დაუშვით, რომ ასეა და საზოგადოებას მართლაც აინტერესებს რას წერენ ჩვენზე ევროპელები, ან თუნდაც ამერიკელები, მაგრამ რატომ ხდება ისე, რომ თქვენ საინფორმაციო გამოშვებაში "სიმართლე" ხელისუფლებას ყოველთვის აქებენ და ოპოზიციას აკრიტიკებენ?

**ე.მ.** - იმ მარტივი მიზეზის გამო, რომ ხელისუფლებას დასავლეთში აქებენ და ოპოზიციას აკრიტიკებენ. ჩვენ სტატიების წერას ვერ დავიწყებთ და ოპოზიციის ქებას.

**ბ.ჯ.** - და იმ საქებარ სტატიებს თავზე რომ აწერია "გაცილებული ადგილი" იმას რატომ არ თარგმნი?

**ე.მ.** - არ ვიცი, თქვენ გინდათ მითხრათ, რომ ჩვენი ხელისუფლება დასავლურ პრესას აკონტროლებს? კარგით რა, მართლა და მართლა!

**ბ.ჯ.** - კონტროლი ხმამაღალი სიტყვაა, მაგრამ საგაზეთო სტატიებს ყიდულობს და ამ შეკვეთით სვეტებს აწერია, რომ ეს ადგილი გაზეთმა გაყიდა.

**ე.მ.** - არ მჯერა! ჩვენი ხელისუფლება ამას არ იკადრებს!

**ბ.ჯ.** - კარგით, მოვეშვით სტატიებს. რას ფიქრობთ, როგორ იმუშავა თქვენმა საინფორმაციო გამოშვებამ, ბოლო ორი თვე? რამდენად ობიექტურად ასახა მოვლენები?

**ე.მ.** - მესამე არხი სუპერ ობიექტური არხია. ეს იქნება ჩემი პასუხი. ადრე, ჩვენთან არსებობდა აკრძალული თემები. ახლა ასეთი აღარ ხდება. მესამე არხზე არა ერთი პოლიტიკური თოქ-შოუა და ყველას აქვს საშუალება, ყველა პოლიტიკურ ძალას, გამოავლინოს თავისი შეხედულებები. მე ვფიქრობ, რომ ეს დემოკრატიის მეორე ტალღის მიღწევაა. და გთხოვთ, ნუ დაუკარგავთ ამას ხელისუფლებას.

**ბ.ჯ.** - და მეც გთხოვთ, ისიც არ დაგავინდეთ, რომ ამ ხელისუფლებამ ის დაგვიბრუნა რაც ისედაც გვეკეთებოდა.

**ე.მ.** - ჩვენ ხშირად გვაკრიტიკებენ, მაგრამ მინდა ყველას ვუთხრა, რომ ჩვენ შეცდომებზე ვსწავლობთ და ჩვენთან ერთად იზრდება ჩვენი მასშტაბი. ამიტომ, ხშირად ჩვენ ვასწრებთ მასწავლებლს და ხანდახან მასწავლებელი. ამ ბალანსის დაცვა ძნელია, მაგრამ შესაძლებელია. ვფიქრობ, რომ...

**ბ.ჯ.** - უკაცრავად, რა გაძლევთ ამის თქმის უფლებას, რომ თქვენ მასწავლებლს გასაწარმოებინებთ თქვენი ხელისუფლებაზე დამოკიდებულება და შიშის სინდრომი?

**ე.მ.** - ვალია, შიშის სინდრომი იყო, მაგრამ ჩვენ ის მოვსებთ.

**ბ.ჯ.** - და თქვენ ახლა რომ დაგიკითხვთ ხელისუფლებიდან ვინმე გავლენიანმა პირმა მათ დაგალებას არ შეასრულებთ?

**ე.მ.** - თქვენი შეცდომა იცით რა არის? თქვენ ამ ე.წ. ზარებს დავალებებს უწოდებთ, ჩვენ კი, ჟურნალისტები ამას ინფორმაციის მიღებას და დამუშავებას ვუწოდებთ.

**ბ.ჯ.** - ერთი წუთით, მიღება-დამუშავება გასაგებია, მაგრამ ინფორმაციის ცალმხრივად მიწოდება ეს უკვე პრობლემაა. მე ვფიქრობ, რომ თქვენი მთავარი პრობლემა ისაა, რომ თქვენ პოლიტიკური შეხედულებები გაქვთ და თქვენ ხართ მხარე.

**ე.მ.** - რა თქმა უნდა, ჩვენ ადამიანები ვართ და გვაქვს იმის უფლება, რომ ჩვენი პოლიტიკური სიმპათიები გვეკონტროლებს.

**ბ.ჯ.** - და ეს აისახება თქვენს სიუჟეტებში.

**ე.ს.** - ჩვენ ვცდილობთ რომ ამასზე მაღლა დავდგეთ.

**ბ.ჯ.** - დიდი მადლობა. წარმატებებს გისურვებთ.



მასშტაბურ უვერტიურასთან ურთიერთობას "ბედავს" ოთარ ჩუბინიშვილის სექტეტი: ფორტეპიანო ანა გოგავა, კლარნეტი ნოდარ ბინაძე, ვიოლინო მარიამ მაჩაიძე, II ვიოლინო ანა ქაშუაძე, ალტი ნიკა ბარათელი, ჩელო არჩილ ჩხიკვიშვილი. რუსული მუსიკის ტექნიკური მოძრაობების, პალიტრისა და განსხვავებული ხასიათის შემდეგ კი მსმენელს განცალკევებული ისმის აპლოდისმენტი. "გამოცდა ჩაბარებულია, შეგიძლიათ ამოიხუთქოთ!" - ასე ხუმრობაში მოუწონეს პროკოფიევი.

d'Amur ჟღერს.

კონცერტის დასრულების შემდეგ დირიჟორს გავესაუბრეთ:

**- ბატონო თამაზ, მოსწავლეთა მიმართ შენიშვნები გაქვთ?**

- არა, კმაყოფილი ვარ, ყველაფერი კარგად წარმოხდა. ამ კონცერტებში არის რაღაც საერთო სიმბოლო - ესენი ჩვენი საქმის გამგრძობლები არიან. ვფიქრობ, ეს ფესტივალის კარგი დასასრულია.

**- რა იქნება ხვალ?**

- ხვალ უკვე ჩვენი ჯერია...

"ხვალ" ფესტივალის მესამე დღეს ნიშნავს...

თამაზ ბათიაშვილი სადირიჟორო პულტთან დგება - სამუსიკო სასწავლებლის სიმებიანი ორკესტრი მაესტრომ უნდა მართოს. საორკესტრო პროგრამა ერთგვარი პიტირია ბაროკოდან მოდერნამდე. ბახის სავიოლინო კონცერტის (a moll) სოლისტია სინდი ვართანოვი. ეს მსუბუქი, თუმცა სევდიანი მუსიკა ფორტეზე იმდება, "თბება" და როგორც მუსიკოსები ამბობენ, ასოციაციურად "ნაღვლიანი ადამიანის თხრობაში გადადის". დირიჟორი, რომელიც ბგერებს თითქოს ხელით ეხება, ორკესტრს საკუთარი იდეების გამტარებლად აქცევს მაშინაც კი როცა ვივალდის Concerto grosso, მოცარტის დივერსიმენტი B dur, ედუარდ ელგარის Salut

# "ჩირადანი" - Photo Challenge-ის რჩეული

"შენი თვალით დანახული თბილისი" - ასეთი თემატიკა ჰქონდა ფოტოკონკურსს Photo Challenge, რომელიც წელს პირველად ჩატარდა. მასში მხოლოდ სტუდენტები მონაწილეობდნენ.

"საქართველოში ალბათ ბევრი ისეთი სტუდენტი, რომელმაც არ იცის რომ კარგი ფოტოს გადაღება შეუძლია. კონკურსი Photo Challenge მის საშუალებას აძლევს წარმოაჩინოს საკუთარი შესაძლებლობები და ნამუშევრები საზოგადოებას წარუდგინოს", - გვითხრა ვაკო გეგიძემ, რომელიც კონკურსის ერთ-ერთი ორგანიზატორია. ამ ინციატივაში კიდევ ორი ადამიანი მონაწილეობს, ესენი არიან: ბექა გოლეთიანი და ლევან ტყემალაძე. სამივე მათგანი სტუდენტია, ერთი თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში სწავლობს, მეორე - კავკასიის ბიზნეს სკოლაში, ხოლო მესამე - თბილისის სამხატვრო აკადემიაში.

Photo Challenge-ის პარტნიორია კინოთეატრი "ამირანი", სადაც 5 ივნისს, 13:00 საათზე, საუკეთესო ფოტოს ავტორი გამოავლინეს. გამარჯვებულად მიხილ მახარაძე დასახელდა, რომელსაც სასაჩუქ-



თითქმის სულ ფორტისიმოზეა დაწერილი. აქ მუსიკოსები ზუსტად იაზრებენ ყოველი პასაჟის შინაარსსა და ხასიათს. გიორგი გვანცელაძის, თემურ ბუნიკაშვილისა და ლევან ცხადაძის ინსტრუმენტულ "დილოგს" - ხან ბუნდოვანებას, ხანაც კონტრასტს თავისი ესთეტიკა შეაქვს სიმებიანი კვარტეტის პარტიტურებში. გერმანიიდან გიორგი გვანცელაძე, ჰოლანდიიდან კი ლევან ცხადაძე, რომლებიც ფრანსუა ლოლოს კონცერტების ლაურეატები არიან, ინგოლშტატის ქართული კამერული და ასევე ევროპის დიდი ფილარმონიული ორკესტრების მიწვეულ შემსრულებლებად ითვლებიან. სცენაზე თავისი ხიბლი აქვს მიუნხენის ახალგაზრდული ფილარმონიული ორკესტრის სოლო ფაგოტისტი მისრულეპას. თემურ ბუნიკაშვილის სასულე ობერტონები ჯოაკინო როსინის ფრანგული ლამაზი ტემბრი იშლება, ფართოვდება და ფინალისკენ თითქოს გამჭირვალედ იფანტება. როსინის გარდა შეასრულეს კვარტეტი B dur, ვებერის კვინტეტი თხზ 34 და კრუსელის დივერსიმენტი C dur.

"შოსტაკოვიჩის განსხვავებული გაზრებისთვის" დარბაზში ემოციები ძლივს დაცხრა... მეოთხე ნაწილის ვარიაციული თემის ბოლო აკორდები ჯერ არც იყო აღებული, რომ დარბაზიდან იყვირეს: "ბრავო!", "ბრავო!"... ძვივს დაცხრა ემოციები. ამის შემდეგ სცენაზე ამერიკიდან ჩამოსულ ედიმერ სავიტკის უხმეს. არაერთი პრესტიჟული კონკურსის ლაურეატი პიანისტი, რომელიც მალე თბილისში სოლო კონცერტს გვპირდება, კვარტეტთან საუბარს მუსიკით ინწყებს. სრულდება ფრანკის ლამაზი ფრაზირებები, რომელიც ინსტრუმენტალისტების ვირტუოზულ პასაჟებთან ხდება თანაზიარი. ამ აკომპანიმენტში ბეგონა იმპრესია, სიმებიანებზე "ელეგანტური ბეგონა" გადის, ჰარმონიულ ძიებაში კი მუსიკოსები შესრულების ფრანგულ ესთეტიკას, ანუ დელიკატურ ჟღერადობას აღწევენ...

რე მომსახურების ბარათი გადაეცა. თუმცა, ვიდრე ჟიური, რომლის შემადგენლობაშიც შედიოდნენ: მამუკა კიკალიშვილი, იური მეჩითაძე და ვია ცირაძე (მყუდრო), პირველ ადგილზე გასულს გამოავლენდა, ასი ფოტოსურათიდან ჯერ 24 ნამუშევარი გამოარჩიეს, შემდეგ - 3, ბოლოს კი - 1; პირველი სამი ადგილის მფლობელს კინოთეატრმა ბილეთები გადასცა, ხოლო კომპანია "რედბულმა" სასაჩუქრე ყუთებით დააჯილდოვა.

იმას, ვინც ამ კონკურსის შესახებ ახლა შეიტყო და გამარჯვებული ნამუშევრების ნახვა აინტერესებს, ათი ფოტო, რომელიც ჯიურმა სხვებისგან გამოარჩია, ერთი თვის განმავლობაში კინოთეატრ "ამირანიში" იქნება ექსპონირებული და საშუალება გექვსთა დაათვალიეროთ.

კითხვაზე, რა კრიტერიუმებით გამოავლინეთ გამარჯვებულები, ვაკო გეგიძემ გვიპასუხა: "ჟიური ცდილობდა აქცენტი გაეკეთებინა ისეთ ნამუშევრებზე, სადაც გამოკვეთილი იქნებოდა ავტორთა ინდივიდუალურობა და მათი განსაკუთრებული ხედავ".

# დროა დაიწყოს ექსპერიმენტები!

"ზარატუსტრას ჟამი" ზუგდიდში

თამარ ქიქნაძე



ბრუნო კლდიაშვილი "ზარატუსტრას ჟამი" კითხვებს ავტორს

გაზეთ "24 საათის" 1 ივნისის ნომერში ფოტოს თეატრის სპექტაკლზე - "ვირთხებზე ნადირობა" ვნერდი. ამ კონკრეტულ შემთხვევაში არჩევანი გაკეთდა უცხოელ რეჟისორთან და სცენოგრაფთან თანამშრომლობაზე, რაშიც წვლილი საქართველოს რეგიონალურმა ქსელმა და გოეთეს ინსტიტუტმა შეიტანა. ამ წარმოდგენას, სავარაუდოდ, გერმანიაშიც უჩვენებენ.

ამჯერად ზუგდიდის შალვა დადიანის სახელობის სახელმწიფო დრამატულ თეატრში დადგმულ სპექტაკლზე "ზარატუსტრას ჟამი" აღვნიშნავ. ის ერთგვარი ექსპერიმენტია, რომელზეც რეჟისორმა ირაკლი გოგიამ იმუშავა და შემოქმედებით პროცესში დრამატურგი რეზო კლდიაშვილი ჩაება (მხატვარი - მარიკა კორკელია, ქორეოგრაფი - ირინა კუპრავა).

ზარატუსტრა ზოროასტრიზმის ფუძემდებელია და თუ განვთავსავთ, ის არის რეფორმატორი, რომელიც გვიბიძგებს პირველსანების დაუბრუნდეთ. ლეგენდა ზარატუსტრას შესახებ გერმანელი ფილოსოფოსის ფრიდრიხ ნიცშეს შთაგონების წყარო გახდა. მან დაწერა ცნობილი და ერთ-ერთი ყველაზე საკამათო ფილოსოფიური ნაწარმოები "ასე იტყოდა ზარატუსტრა", რომელიც სცენაზე სულ რამდენჯერმე გაცოცხლდა. მაგალითისთვის, გასულ წელს კრაკოვის ძველ თეატრში დადგმულ სპექტაკლს - "ზარატუსტრა" დავასახელებ. ის პოლონელმა რეჟისორმა კრისტიან ლიუპამ ნიცშეს ნაწარმოებისა და გერმანელი მწერლისა და რეჟისორის აინარ შლეიფის პიესის - "ნიცშე ტრილოგია" მიხედვით განახორციელა. წარმოდგენა სხვადასხვა თეატრის სცენაზე აჩვენეს (მათ შორის, მოსკოვის ვსევოლოდ მეიერჰოლდის სახელობის ცენტრში). მის შესახებ კრიტიკოსები აღნიშნავენ, რომ სპექტაკლის სტრუქტურის აღწერა და აღქმა იოლი არ არის და მისი ერთმნიშვნელოვანი ინტერპრეტაციაც შეუძლებელია... ცხადია, რომ სირთულე, რომელიც ნიცშეს "ესე იტყოდა ზარატუსტრას" გასცენოვებას ახლავს, ტექსტის ფილოსოფიური ხასიათიდან მომდინარეობს. ამდენად, შეიძლება ითქვას, რომ რეჟისორმა ირაკლი გოგიამ რთული არჩევანი გააკეთა, რომელსაც ნიცშეს ნაწარმოებზე აგებული პიესის გაცოცხლება მოინდომა.

ექსპერიმენტის განხორციელების სურვილი იმდენად დიდი აღმოჩნდა, რომ ახალგაზრდა რეჟისორმა სირთულეებს, რომლებიც აღნიშნული პიესის დადგმას მოჰყვებოდა, როგორც ჩანს, ნაკლები ყურადღება მიაქცია და საკუთარ თავს და შემოქმედებით ჯგუფს გადასაჭრელად ურთულესი ამოცანა წაუყენა. მე არ ვიცი ეს ჩანაფიქრი რამდენად განხორციელდებოდა, რომ არა ზუგდიდის მუნიციპალიტეტის ფინანსური მხარდაჭერა. ერთი კი ფაქტია, რეგიონალურ თეატრებში, სადაც დაფინანსების სიმცირეს უჩივიან, ექსპერიმენტებისთვის სადადგმო ხარჯების გამოყოფა ძალიან რთულია. შესაბამისად, იბადება კითხვა: - რამდენად მნიშვნელოვანია დღეს ექსპერიმენტების განხორციელება? ამ შეკითხვაზე პასუხის გაცემას მოგვიანებით ვეცდები. ექსპერიმენტის ხსენებაზე კი, თემას ოდნავ გადავუხვევ და საქართველოში გერმანიის ხელოვნების აკადემიის ვიცე პრეზიდენტის, ნელე პეტლინგის, ვიზიტს გავისვენებ.

ქ-ნი ნელე აქ "ურბანული კულტურის პოლიტიკისა და სათეატრო ხელოვნების" კვირეულის ფარგლებში იმყოფებოდა და უძღვებოდა სასწავლო ინტერაქტიულ კურსს, რომელიც თანამედროვე ცეკვის 100 წლის განვითარების ისტორიას მიეძღვნა. თეორიული ცოდნის გაზიარებასთან ერთად, მან უნიკალური ვიზუალური მასალაც გვაჩვენა. ლექციებს თითქმის ცარიელ დარბაზში კითხულობდა, მაგრამ ამას დიდად არ შეუწუხებია (განსხვავებით ერთი ჩემი ლექტორისგან, რომელიც თუ სრული დასწრება არ არის, ლექციას არ ატარებს). ამ კურსს ესწრებოდა მსგენელი, რომელმაც ნელე პეტლინგის რამდენჯერმე "შეანუხა" შეკითხვით - მიმითითებ პროექტები, რომლებშიც ჩავერთვებით და საკუთარი შესაძლებლობების რეალიზებას შევძლებ, თორემ საქართველოში თანამედროვე ქორეოგრაფია არავის აინტერესებს და მასში ფულს არავინ ჩადებსო... ამ ახალგაზრდას ნელე პეტლინგმა ასეთი პასუხი გაცა: - "საერთაშორისო პროექტებში რომ ჩაერთოთ, მოთხოვნები ჯერ საკუთარ თავს უნდა უნდა შემოიკრიბოთ და ჩამოაყალიბოთ შემოქმედებითი გაერთიანება, რომელიც ახალი დადგმების განხორციელებაზე იმუშავებს. პრეტენზიის, ან საყვედურის გამოთქმის უფლება კი მხოლოდ მას შემდეგ გეძლევათ, თუ ნახავთ, რომ თქვენს ინიციატივებს მხარი არ დაუჭირებს და პროექტები არ დაგიფინანსებს... მანამდე კი, ვფიქრობ, უმჯობესია იმუშაოთ და ყველაფერი გააკეთოთ იმისათვის, რომ დაოსტატდეთ". ამ რჩევას მან ერთი მაგალითიც მოაყოლა, რომელიც გერმანიის უკავშირდება. როგორც აღმოჩნდა, ეს სახელმწიფო თავდაპირველად თანამედროვე ქორეოგრაფიისადმი ინტერესს არ იჩენდა და ექსპერიმენტებს, რომლებიც ამ დარგში ხორციელდებოდა, არ აფინანსებდა. თუმცა მას შემდეგ, რაც ქორეოგრაფთა ახალმა თაობამ საინტერესო პროექტები განხორციელა, საზოგადოების

ყურადღება დაიმსახურა და გულშემოხმობითი ბევრი გაჩინა, სახელმწიფო იძულებული გახდა ბიუჯეტიდან სახსრები გამოეყო და ამ დარგის განვითარებაზე ეზრუნა. დღეს უკვე გერმანია (და არა მხოლოდ ის) თანამედროვე ქორეოგრაფიებით ინონებს თავს. ეს მაგალითი, ალბათ, ერთგვარი პასუხია შეკითხვაზე: - ღირს თუ არა ბრძოლა, როდესაც არ არსებობს ნება?

ბრძოლა ყოველთვის ღირს. მართალია, ჩვენი ქვეყანა გერმანიისგან განსხვავდება და უპირველესად იმით, რომ აქ სახელმწიფო ხელოვნების რომელიმე დარგის განვითარებაზე კი არ ზრუნავს, არამედ ერთი კონკრეტული გაერთიანების ფინანსურ უზრუნველყოფაზე. შესაბამისად, მუდამ უყანა პლანზე ინაცვლებს კულტურის პოლიტიკის შემუშავების აუცილებლობა, რაც საშუალებას მოგვცემდა პრიორიტეტები გამოგვეყო და თანხები დამსახურებულად გადაგვეწავინა. ქვეყნის ბიუჯეტიდან თეატრალური ხელოვნებისთვის გამოყოფილი სახსრები ღამის მთლიანად ერთ ან ორი თეატრისკენა გადარბოლილი და თანაც ისე, რომ მათ წარმოდგენებს ხარისხის შენარჩუნება არ მოეთხოვება. თბილისის თეატრების რეპერტუარს თუ გადავხედავთ, დავწმუნდებით, რომ ისინი განსაკუთრებულს ვერაფერს გვთავაზობენ. დროა განხორციელდეს რაც შეიძლება მეტი ექსპერიმენტი და იქნებ ამ პროცესში დაიბადოს ის, რაც სახსრებს შემოიტანს. ჩემი ამ მოზოდების ადრესატები ახალგაზრდები არიან. უფრო კონკრეტულად კი ისინი, რომლებსაც ჯერ კიდევ შეუძლიათ კომფორტიზმს თავი დააღწიონ, თორემ, იმ შემოქმედებით ჯგუფს, რომელმაც თეატრიდან ნამყვანი რეჟისორი გაუშვა და მისი ადგილი სხვას დაუთმო, აღარაფერი ეშველება. დღეს უფრო საინტერესოა ის, რაც ერთი შეხედვით კარგად დაფინანსებული, მაგრამ შემოქმედებითად უძრავი სივრცის მიღება ხდება და მართალია, მხატვრული თვალსაზრისით არ გამოირჩევა, მაგრამ ბრძოლის და ექსპერი-

მენტის განხორციელების სურვილი ჯერ კიდევ შერჩა.

ვიღრე "ზარატუსტრას ჟამს" მივუბრუნდები, მინდა კოლეგებს მივმართო და ასეთი შეკითხვა დავუსვა მათ: - როგორ ფიქრობთ, საგულისხმოა, თუ არა რეპლიკა - რა უნდა მოსთხოვო ფოთის ან ზუგდიდის თეატრს, როდესაც თბილისის თეატრებში განსაკუთრებული არაფერი ხდება? ან ერთნაირად უნდა შევავსოთ თუ არა, იმ თეატრების პროდუქცია, რომლებიც რადიკალურად განსხვავებულ პირობებში ფუნქციონირებენ?

სწორედ, ამ განსხვავების გათვალისწინებით არის მისაღები ინიციატივა, რომელიც ირაკლი გოგიამ შემოგვთავაზა. მას სურდა, რომ სცენაზე, თეატრის დასთან ერთად, დრამატურგიც მდგარიყო. რეზო კლდიაშვილი აქ თავად კითხულობს ტექსტს, რომელიც ფრიდრიხ ნიცშეს "ესე იტყოდა ზარატუსტრას" და ინკოგნიტო ქართულ ავტორთა ჯგუფის "3+1"-ის "მომავლის რჩეულის" მიხედვით შექმნა. და მიუხედავად იმისა, რომ დრამატურგი ხაზგასმით აღნიშნავს: - "ამ პიესის თამაში შეუძლებელია. დღევანდელი სამსახიობო ხელოვნება უძღვრია წარმოაჩინოს იგი", რეჟისორი არჩევანს სწორედ მასზე აკეთებს.

დრამატურგი პიესას რიტმულად კითხულობს, სცენაზე განვითარებულ მოქმედებაში არ ერთვება და სიტყვას იშვიათად "უთმობს" მსახიობებს: გოგი გუგუზუს, ირაკლი სამუშიას, ნათია გუდაძეს, მზევიანარ ჩარგაზიას, მალაზ მესხიას, გიგა კიტიას, ირაკლი კაკალიას, ზემფორა გუნაას, ზურაბ ლაშვიას, მარინა დარასელიას, რეზო ჯაფარიას, ნანა ბუკიას, მერაბ აკაკალიას. ისინი მეტაფორებით გავსებულ სცენების გაცოცხლებას უმეტესად პლასტიკით ცდილობენ. რეჟისორის მიერ დასმული ამოცანების გადაჭრა რთული დავალება აღმოჩნდა დასისთვის, რომელსაც ჯერ კიდევ ბევრი აქვს სამუშაო იმისათვის, რომ სათქმელს გამოამსახველოთ ითო ფორმა მოუძებნოს და საკუთარი შესაძლებლობები სათანადოდ წარმოაჩინოს. ეს შეთავაზება არანაკლებ რთული იყო მკურნალობისთვისაც, რადგან იოლი არ არის პიესის აზრს მისდობი და ამასთან თვალში მიაღვეწო მოქმედებას, რომელიც სცენის შუაგულში ვითარდება და ახალი პერსონაჟებით იცვლება. მაყურებლისთვის მოულოდნელი აღმოჩნდა სპექტაკლის ფინალი, რომელიც ჩვეული "პაკლიონი" არ დასრულებულა - მსახიობთა მსვლელობამ თეატრის ფოიეში გადაინაცვლა და მაყურებელს იქ შეუერთდა. "ვინც ამ იდეის თანამონაწილე გახდება, თვითონვე უნდა აინთოს და ცეცხლი მაყურებელს მიუტანოს", - აღნიშნავს დრამატურგი. სპექტაკლის დასრულების შემდეგ, ერთ-ერთმა აღნიშნა: რეჟისორმა სწორი არჩევანი გააკეთა, აქ უყვართ ლოზუნგები... მე არ ვიცი ირაკლი გოგი ამ რამდენად გათვალა სათქმელი პუბლიკაზე, რომელიც ამ წარმოდგენას ესწრებოდა. თუმცა, მაყურებელზე შთაბეჭდილების მოსახდენად მან გამოიყენა მის ხელთ არსებული ყველაწიერი ხერხი, იქნება ეს მუსიკალური გაფორმება თუ ეკრანი, რომელზეც დიქტატორთა, თუ ტრაგიკულ მოვლენათა (მათ შორის, 9 აპრილის) ამსახველი კადრები გაცოცხლდა. ამ ექსპერიმენტმა ჩემში იმ წარმოდგენებზე მეტი ინტერესი გამოიწვია, რომლებზეც სერიოზული თანხები იხარჯება და რომლებიც რეჟისორის პირადი სიმპატიით ნაწილდება, სადაც მხოლოდ ილუზია იქმნება იმისა, რომ იქ რაღაც ხდება.



**9 ივნისი**

**თეატრი**

**რუსთაველის თეატრი (მცირე სცენა)**  
"მობუცი ჯამბაზები"  
დასაწყისი: 19.00

**მარჯანიშვილის თეატრი**  
"ნანუმა"  
დასაწყისი: 20.00

**მარჯანიშვილის თეატრი (თეატრი სხვენში)**  
"პეიუხა აკლია სითბო"  
დასაწყისი: 20.00

**თეატრალური სარდაფი რუსთაველზე**  
"მკაცრი ქალიშვილები"  
დასაწყისი: 20.00

**კინო**

**"ამირანი"**  
"ტერმინატორი"  
დასაწყისი: 12.30; 15.00; 17.30; 20.00; 22.15  
(დიდი დარბაზი);  
"ანვეტილები 4"  
დასაწყისი: 13.00; 15.00;  
"ანგელოზები და დემონები"  
დასაწყისი: 17.00; 19.45; 22.00  
(მცირე დარბაზი)

**"საქართველო"**  
"მავადასკარი"  
დასაწყისი: 13.00; 15.00;  
"თქვი დახ"  
დასაწყისი: 17.00;  
"ანვეტილები 4"  
დასაწყისი: 19.00; 21.00;

**გამოფენები**

**ბაია გალერეა**  
პროექტი - პროცესი "ცნობილი უცნობი პერსონა".  
XX საუკუნის ქართული ხელოვნება. ემა ლალევან-ელბერიძე

**ვერნისაჟი**  
სოსო ქუმბიაშვილის პერსონალური გამოფენა (ფერწერა).

**მეიდან არტ პოლი**  
ქართველი მხატვრების მუდმივმოქმედი ექსპოზიცია (ფერწერა, ქანდაკება)

**გალერეა "შარდენი"**  
თანამედროვე ტიხრული მინაქრის გამოფენა (სამკაული, მინიატურა, ხატი)

საქართველოს სახალხო ბანკი  
PEOPLE'S BANK

**დონ გიოვანი**  
Wolfgang Amadeus Mozart

თეატრალური ოპერა ორ აქტად  
OPERA IN TWO ACTS

**9, 12, 22 ივნისი**  
JUNE 19.00

TEL: 98 32 48, 93 37 58, 8 99 20 60 40 WWW.OPERA.GE

Geocell  
Tbilisi  
SBI  
MZA  
Tbilisi  
Geocell  
Tbilisi  
SBI  
MZA  
Tbilisi

# ბრიტოლ რობაქიძის ახალი გამოცემის გამო

### საქართველოს ოკუპაციასთან დაკავშირებული უნიკალური ფოტოები

თეატრის, კინოს, მუსიკისა და ქორეოგრაფიის მუზეუმში მეცნიერებმა XX საუკუნის დასაწყისის საარქივო მასალის დამუშავების დროს საქართველოს ოკუპაციასთან დაკავშირებულ დღემდე უცნობ ორ ფოტოდოკუმენტს მიაკვლიეს. როგორც მუზეუმში განაცხადეს, ორივე ფოტო ბაქოშია გადაღებული. ერთ-ერთ მათგანზე ოკუპაციის უშუალო ხელმძღვანელი სერგო ორჯონიძე და აზერბაიჯანის კომპარტიის პირველი მდივანი სერგეი კოროვი აღბეჭდილი. საბჭოთა ლიდერები საქართველოს დასაპყრობად მომავალ დაჯავშნულ მატარებელთან წითელ არმიელების გარემოცვაში დგანან.

მეორე ფოტო კი საქართველოს ოკუპაციამდე ერთი დღით ადრე, 1920 წლის 1 მაისსაა გადაღებული. მინანერის მიხედვით ფოტოს "თბილისზე ლაშქრობა" ეწოდება. აქ ამხანაგი ორჯონიძე ცენტრალური კომიტეტის კავკასიის ბიუროს წევრებთან ერთად საქართველოსაკენ დაძრულ მე-11 არმიის ალუმს იბარებს. "ორივე ფოტო უნიკალურია, ისინი ისტორიკოსებისათვის დღემდე უცნობი იყო, გარდა ამისა ეს არის ორად ორი დოკუმენტები სადაც უშუალოდ საქართველოს ოკუპაციის სამზადისა ასახული", - განმარტავენ მუზეუმში. **ჯი-იჩი-ენი**

### საქართველოში გერმანიის დღეების შირველი ღონისძიება

გერმანიის საგარეო საქმეთა სამინისტრომ 2009 წელი ამიერკავკასიაში გერმანიის დღეებად გამოაცხადა და ამ ქვეყნებში არსებული გერმანიის საელჩოსა და საქართველოს გოეთეს ინსტიტუტის საშუალებით ის მთელი წლის განმავლობაში მრავალ საინტერესო ღონისძიებას გეგმავს. 9 ივნისს გოეთეს ინსტიტუტი 2009 წლის საქართველოში გერმანიის დღეების პირველ ღონისძიებას ჩაატარებს, სახელწოდებით "ისტორიული ქალაქის სათუთი ურბანული განახლება და სამოქალაქო საზოგადოება".

სიმპოზიუმზე ქართველი და გერმანელი სპეციალისტები ისტორიული ქალაქის ურბანული განახლების სათუთ გზებზე იმსჯელებენ. ამასთან, წარმოდგენილი იქნება რუმინეთის ქ. სიბოუსი გერმანიის ტექნიკური თანამშრომლობის საზოგადოების (GITZ) მიერ ჩატარებული და მრავალგზის პრემირებული პროექტი. ასევე, გამოფენილი იქნება ამ პროექტის ამსახველი დოკუმენტური გამოფენა.

ამ სიმპოზიუმით მნიშვნელოვანია იმ მთავარი დედაზარის გადმოხტანა, რომ კულტურული მემკვიდრეობის შენარჩუნება და ეკონომიკური განვითარება ერთმანეთის კონკურენტები კი არ არიან, არამედ ისინი ერთად უნდა განიხილებოდეს. სიმპოზიუმზე წარმოდგენილი იქნება ისტორიული ქალაქის ურბანული განახლების წარმატებული პროექტები, მათ შორის თბილისის და ბერლინის ტექნიკური უნივერსიტეტების სტუდენტების მიერ შემუშავებული "პლანის-ნოვის" უბნის სათუთი განახლების თეორიული პროექტი.

სიმპოზიუმის მსვლელობისას ნაჩვენები იქნება, თუ როგორ შეიძლება მოსახლეობისა და არასამთავრობო ორგანიზაციების ამ პროცესებში ჩართვა.

ეს ღონისძიება ემსახურება აქტიუალური სიტუაციის აღწერას და შეჯამებას, რის შედეგადაც მომავალ წელს უფრო მასშტაბური ევროპული პროექტის ჩატარება იგეგმება. **მედიაინუსი**

### კახეთის სამონასტრო კომპლექსების რესტავრაცია

ნეკრესის, ალავერდის და გურჯაანის ყველაწმინდის სამონასტრო კომპლექსებს სარესტავრაციო სამუშაოები 2009 წელს ჩაუტარდება. ამის შესახებ საქართველოს კულტურის, ძეგლთა დაცვისა და სპორტის სამინისტროს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტოს დირექტორმა ნიკა ვაჩიშვილმა განაცხადა.

ოფიციალური ინფორმაციით, სარესტავრაციო სამუშაოები სახელმწიფო ბიუჯეტიდან დაფინანსდება. ვაჩიშვილის თქმით, სამუშაოებზე ადგილობრივებიც დასაქმდებიან. **მედიაინუსი**

### სილნალში ამერიკელი მხატვრის ნახატები გამოფენილი

პიკასოს ნახატების პარალელურად, სილნალის მუზეუმის მცირე დარბაზში ჯონ უერდემანის ნახატებიცაა გამოფენილი. ეს მისი მესამე პერსონალური გამოფენაა საქართველოში. მხატვრის ფერწერული ტილოები, სადაც, ძირითადად, სილნალისა და მისი შემოგარენის ყოფა-ცხოვრებაა ასახული, მუზეუმის საგამოფენო დარბაზში შემოდგომის ბოლომდე დარჩება. ჯონ უერდი უერდემანი, სანტაფეში, ნიუ მექსიკოს შტატში დაიბადა და 12 წელია სილნალში ცხოვრობს. **მედიაინუსი**

### ქობულეთი საერთაშორისო კონფერენციას უმასპინძლებს

10 ივნისს ქობულეთში შვიი ზღვის ქვეყნების მეორე კონფერენცია გაიხსნება, რომელიც განათლების საკითხებს ეძღვნება. მისი ორგანიზატორია გამოცდების ეროვნული ცენტრი. როგორც გამოცდების ეროვნულ ცენტრში განაცხადეს, კონფერენციის თემა: "საერთაშორისო კვლევები და სავანმანათლებლო სტანდარტები". მასში მონაწილეობას მსოფლიოს 15 ქვეყნის 30-ზე მეტი ექსპერტი მიიღებს. ეს ქვეყნებია: დიდი ბრიტანეთი, აშშ, შვედეთი, ნიდერლანდები, იტალია, ბოტსვანა, უნგრეთი, თურქეთი, უკრაინა, ყირგიზეთი. კონფერენციის მონაწილეები იმსჯელებენ საქართველოს განათლების სისტემის რეფორმირებაში საერთაშორისო კვლევების როლზე, საერთაშორისო კვლევების მიზანსა და სტრატეგიაზე.

ამ ცენტრის წარმომადგენლები აღნიშნავენ, რომ საერთაშორისო სავანმანათლებლო კვლევების შედეგების მიხედვით განათლების სისტემაში სტრატეგიის შემუშავება და საერთაშორისო გამოცდილების გაზიარება მეტად მნიშვნელოვანია.

შვიი ზღვის ქვეყნების მეორე კონფერენცია 11 ივნისს დაიხურება. **მედიაინუსი**

### ლია წერილი ქალბატონ ნინო ხოფერიას

"შესაძლოა ეს ყოველივე წერილმანის გამოკიდებად მოქმედებს ვინმეს, მაგრამ როგორც მხატვრულ ნაწარმოებში, ისე ერის ცხოვრებაში წერილმანიც მნიშვნელოვანია"

*კონსტანტინე გამსახურდია*

### ქალბატონი ნინო!

დიდი მადლობა იმ დაუვინყარი სადამოსთვის (*თი ბი სი ბანკის* დარბაზი, 28. X. 2008), რომელიც აგვისტოს ომგადახდილ ქართველ ხალხს აჩუქეთ. ჩინებული მეტყველებითა და, თქვენ წარმოიდგინეთ, სცენური მოძრაობითაც კი ისე მოხიზველად წარმართავდით ყველაფერს, რომ ნებისმიერ მსახიობს შემურდებოდა. მაგრამ ვაი, რომ ეს სინატიფე ვერ ვიგრძენი თქვენს მიერ რედაქტირებულ ნიგნებში (გრიგოლ რობაქიძისა და ქ-ნ ბაბო დადიანისა), რომლებიც იქვე შევიძინე. ძველისძველი რედაქტორი გახლავართ და მაქვს ასეთი ჩვევა - როცა პატივს ვცემ ადამიანს, მის ნაშრომს თაროზე კი არ შემოვდებ ხოლმე, არამედ გულდასმით ვეცნობი და პირუთვნელ აზრსაც მოვასხენებ, ვინძლო, შემდგომში გამოადგეს...

ბუნებრივია, განსაკუთრებით დამაინტერესესა გრიგოლ რობაქიძის ბარათებმა, რომლებსაც იგი თავის ტრიალებების უკანასკნელ საგანს - ქალბატონ გიტა შტრაბევიტს სწერდა.

**"წერილები გიტა შტრაბევიტსთან"** - ასე დავისათაურებოდა ეს მონაკვეთი, მაგრამ რატომ **"ესნა"** გაიხსენეთ, ბატონი კ. გამსახურდია რას საყვედურობდა ჯერ კიდევ 1948 წელს, არ იქნა და ვერ გადავიჩვია ზოგიერთი მწერალი ასეთ გამოთქმას: **"წერილი ბებიას"** - უნდა იყოს ბებიასადმიო (იხ. თქვენს მიერვე მითითებული ტ. VIII, გვ. 253). მოგვიანებით, 1966 წელს, ბატონმა კონსტანტინემ ისევ გაიხსენა ეს კონსტრუქცია და განაცხადა, **"წერილი დედას"** კი არ უნდა დაინეროსო, არამედ **"წერილი დედისადმი"** (იქვე, 259). ასე რომ, აქაც უნდა ყოფი-

ლიყო **"წერილები გიტა შტრაბევიტსთან"** და არა ხან **"წერილები გიტა შტრაბევიტსთან"** (გვ. 53), როგორც ძირითად ტექსტშია, ხანაც **"წერილები გიტა შტრაბევიტს"** (სარჩევში).

მონაკვეთის დასაწყისში (გვ. 56) პოეტის ფოტოა, რომლის ქვემოთ მისი სიტყვები გამოიტანიათ: **"სამწუხარო ისაა, რომ ამ დედამიწაზე ჩემი შენდამი** (ხაზი ჩემია - გ. დ.) საყვარული სათვის ასე ცოტა დრო დამრჩა..."

**"ამ დედამიწაზე"** როგორ გავიგოთ, სხვა დედამიწაც არსებობს, ვთქვათ, **"იმ დედამიწაზე"**? არანაირი ჩახედვა არაა საჭირო დედანში, რომ ქართულად აქ **"ამქვეყნად"** უნდა ყოფილიყო. და მეორეც: **"ჩემი შენდამი"**, რაღა თქმა უნდა, ზედმეტია. **"შენიც"** საკმარისია, მით უმეტეს, რომ **"ჩემი"** **"დამრჩას"** უნდა ამოვედო. აბა, ვნახოთ: **"სამწუხარო ისაა, რომ შენი საყვარულისათვის ასე ცოტა დრო დამრჩა ამ ქვეყნად"**. რა დააკლდა? თანაც უფრო ლაკონიური და ემოციური გახდა.

რაც შეეხება შემდგომ აბზაცს, აქ სრული განუკითხაობაა: **"...წერილები წესით ადრესატთან... უნდა ყოფილიყო და არა მწერლის არქივში, საიდანაც როგორც ფრაგმენტი გერდა გვატყობინებს ფრაგმენტმა ზიგრისტის არქივში მოიძია და გამუგზავნა** (ხაზი ჩემია - გ. დ.) მასალა..." (გვ. 55).

1. როგორც ფრაგმენტი გვატყობინებს ჩართული წინადადება და მიძიმებით უნდა იყოს გამოყოფილი. 2. **"გამუგზავნა"**, ცხადია, კორექტურა, ან **"მ"** არის ზედმეტი (**"გამუგზავნა"**) ან **"ო"** აკლია (**"გამოუგზავნა"**) და გასწორდება (**"გამოუგზავნა"**), მაგრამ თავად ამ კონსტრუქციას არაფერი ეფუძვლება, თუ ხელახლა არ აავეთ, ქ-ნო ნინო!

ამგვარ გაუგებრობა-უყურობადღებობებზე საკმაოდ მოზრდილი საუბრონალო სტატია გამოვიდა, ამდენად, ახლა მხოლოდ ერთ გვერდზე შევამჩნევ მკითხველის ყურადღებას.

ფრიალ გამაოცა 110-ე გვერ-

დმა - წარმოუდგენელია, რომ 1962 წლის 28 ოქტომბერს გრიგოლ რობაქიძეს გიტასადმი გასაგზავნ ბარათში ასეთი ეპიგრაფი გაეკეთებინა: **L'amor che muove il sole es l'altre stelle.**

**DANTE**  
"რომ საყვარული ღვთაებრივი ანიჭებს ძალას და ამოძრავებს ამ მშვენიერ ციურ ცდომილებს"

**დანტე**  
თარგმანი ეკუთვნის კ. ჭიჭინაძეს კ. გამსახურდიას მიერ შესრულებული პნკარედების მიხედვით. **"ღვთაებრივი კომედია"**. **"ჯოჯოხეთი"**. ქება პირველი. კ. გამსახურდია, ტ. VIII, გვ. 385. 1967 წ.)

არა, არა, ქ-ნო ნინო, ვერაფრით დავიჯერებ ამას - 1967 წლისათვის, როცა კ. გამსახურდიას VIII ტომი გამოვიდა, გრიგოლი იყო! ამდენად, გასარკვევია, ამ ეპიგრაფში რა არის გრიგოლ რობაქიძის და რა პირადად თქვენი თუ მთარგმნელის. თუ არადა, რა გამოდის - ამ ჩვენმა სასიქადლოო მწერალმა ციტირებისა და კომენტარების წესი არ იცოდა, თუ დანტეს მართლაც **"ღვთაებრივი კომედის"** სხვადასხვა თავი (**"ჯოჯოხეთი"** და **"სამოთხე"**) ერეოდა ერთმანეთში?! სამივე აბზაცში, რომელსაც ეს ეპიგრაფი შეიცავს, ისეთი უყურადღებობაა, მტრისათვის:

1. შეცდომებია იტალიურ ტექსტში (**"მოვე"** - უნდა იყოს **"მოვე"** და **"ეს"**, უნდა იყოს **"ე"**);  
2. შეცდომებია **ვითომ** (რატომ გაგზავნა, ქვემოთ მოგახსენებთ) მის ქართულ თარგმანში (პირველი სიტყვა უნდა იყოს არა **"რომ"**, არამედ **"როს"**, ბოლო კი - **"ცთომილებს"** და არა **"ცდომილებს"**, ხოლო ციტატის დასასრულ სასვენი ნიშანიც აკლია...);  
3. რაც მთავარია (რატომაც უნდა უთქვას **"ვითომ"** გაგზავნა), ეს თარგმანი შეცდომით გაქვთ მოტანილი - იგი "სხვა ოპერადან არის", ქ-ნო ნინო! ეს, სხვათა შორის, ვიზუალურადაც ადვილი შესამჩნევია, რადგან თუნდაც სიტყვათა რა-

ოდენობით ორჯერ მეტია დედანზე. დედანი კი, ანუ იტალიური ციტატა **"ჯოჯოხეთიდან"** კი არაა, როგორც ეპიგრაფში მითითებით, არამედ **"სამოთხიდან"** - იგი ამ უკანასკნელის, და საერთოდ, მთელი **"ღვთაებრივი კომედის"** ბოლო ფრაზაა და სინატიფელები ქართულად ასე უდერს: **"იმ საყვარულთა, რაც აბრუნებს მზეს და ვარსკვლავებს"** (იხ. თქვენს მიერვე შემოთავაზებული კ. გამსახურდიას ტ. VIII, გვ. 821).

შეცდომებია მესამე აბზაცშიც: აზრობრივი შეცდომა უკვე მივეუთითე. ახლა სხვა უზუსტობებზე მოგახსენებთ: **"ღვთაებრივი კომედია"** და **"ჯოჯოხეთი"** რომ ბრჭყალებშია, გასაგებია, მაგრამ ასევე ბრჭყალებში იწყება ქება პირველი და არ იხურება - ცხადია, არც უნდა დაწყებულიყო შემდეგ მოდის: **"ტ. VIII. (უნდა იყოს მძიმე - გ. დ.) გვ. 385. (ისევ მძიმეა საჭირო - გ. დ.) 1967 წ.)"** - ეს ფრჩხილი კი რას ნიშნავს, ველარ გავიგე და ხელი ჩავუქნიე...

და კიდევ ერთიც - ეს უკვე ქალბატონ ბაბო დადიანის შემუშავებებს ეხება: ავტორს ისე შეესაძინებოდა აქვს ახსნილი, თუ რა იყო ის უმთავრესი პოეტიკისათვის, რაც გალაკტიონმა მერი შარვაშიძისაგან მიიღო (**"შთავონება"**), რომ, როგორც რედაქტორი, ჩემი ღრმა რწმენით, ნამდვილად უნდა შეელოდით მის ერთ ფრაზას - მერი სხვა წრის ქალი იყო და გალაკტიონი მის წრეში ვერასდროს შეაღწევდა... აბა, დააკვირდით, თავადაც როგორ შენახდა ამ, ალბათ, უნებური ფრაზით და გააგრძელა, გალაკტიონს არც უცდია მასთან დაახლოება, არც სჭირდებოდაო და ა. შ. ასე რომ, ჩრდილი უფრო ქალბატონ ბაბოს მიადგა და ეს უნდა აგერიდებინათ მისთვის...


ასეთია მოკლე ჩემი შენიშვნები და სურვილები. მთლიანად კი ამ წერილს ჩვენი ჟურნალის **"რანდი"** ახალ ნომერში გთავაზობთ და დიდად დაგვაკლებთ, თუ გვიპასუხებთ.

თქვენი პატივისცემელი  
**გოგი დოლიძე**  
*ჟურნალ "რანდის"*  
მთავარი რედაქტორი

# 200 საუკეთესო 1900 წლიდან დღემდე

The Times-ის მკითხველმა ფავორიტი მხატვრები დასახელა

უკვე მეორე კვირაა, რაც სილნალის მუზეუმში პაბლო პიკასოს ნამუშევრებია გამოფენილი. თვის ბოლოს ექსპოზიცია თბილისში გადმოინაცვლებს, აგვისტოში კი ბათუმში გამოიფინება. ამ ღონისძიებამ იმდენად დიდი დინამიკისა და გამოხვიდა, რომ ალბათ თავისუფლად შეძლებს წლის მოვლენის წოდების მოპოვებას. პარალელურად კი პიკასო ანსლუელის საუკეთესო მხატვრების რეიტინგის სათავეში მოექცა.



ბრიტანულმა გაზეთმა The Times 1900 წლიდან დღემდე მოღვაწე 200 საუკეთესო მხატვრის სია გამოაქვეყნა. რეიტინგის შედგენაში კი გაზეთის მკითხველი მონაწილეობდა. გამოკითხვა ოთხი თვის განმავლობაში მიმდინარეობდა, ხმა კი დაახლოებით მილიონნახევარმა ადამიანმა მისცა.

პირველ ადგილზე 21 ათას 587 ხმით პიკასო გავიდა, გამოკითხ-

ვის ყველაზე ცოტა და შესაბამისად მე-200 ადგილი იაპონელმა მხატვარმა და ფოტოხელოვანმა შიროში სუჯიმოტომ მიიღო. მეორე ადგილზე ფრანგი იმპრესიონისტი პოლ სეზანი, მას ავსტრიელი გუსტავ კლიმტი მოსდევს.

პირველ ათეულში ორი ფრანგი იმპრესიონისტის - კოლდ მონესა და ანრი მატისის გვარებს ამოიკითხავთ. აქვეა მარსელ დუშანი და სკანდალური იმიჯით ცნობილი ამერიკელი მხატვარი ჯეკსონ პოლოკიც. ათეულის ბოლო ადგი-

ლებზე მოხვდნენ პოპ არტის მამა ენდი უორჰოლი, აბსტრაქტული ექსპრესიონიზმის წარმომადგენელი უილემ დე კუნინგი და მოდერნისტი პიეტ მონდრიანი.

როგორც რეიტინგთან დართულ სტატიაშია ნათქვამი, შედეგები ადვილად გათვლადი იყო, რადგან რიგითი, მხატვრობაში ნაკლებად გაცნობიერებული მკითხველი, როგორც წესი, ხმას ცნობილ სახელს აძლევს, თუმცა იყო გააზრებულად მინიჭებული ხმებიც. მაგალითად, ოცეულში მოხვდა თანამედროვე მხატვარი მარტინ კიპენბურგერი, რომლის სახელი ბევრისთვის ცნობილი არაა.

სტატის ავტორი იმასაც ამბობს, რომ მექსიკელი ფრიდა კალო ნაკლებად იმსახურებდა მე-19 ადგილზე გასვლას. ნიუ უიუიტეს მამინ, როდესაც მორევეცილი ფერმწერი, გენიალური "ყვირილის" ავტორი ედვარდ მუნკი მხოლოდ 46-ე ადგილზე მოხვდა.

# სპორტი

## ბზა

### დავით კოჭიერიძე

რაც უფრო ყროდღება რუსთაველი ავენიუ, მით უფრო ცუდადაა ჩვენი საქმე-როგორც დიადი გუბაზი იტყოდა, ისტორიულად ასეა. ისე, საინტერესოა, ვინმემ იცის საქართველოს ისტორია? ნამდვილი ისტორია და არა ის მატრაკვეციული ზღაპრები, რომლებზეც გავგზარდვს და რომელიც სხვა არაფერია, თუ არა ფარსი, ერთი გრძელი სადღეგრძელო.

სულაც არაა გასაკვირი, რომ არ ვიცით რა ხდებოდა ათას ხუთასი წლის ან ათას ხუთასი დღის წინ. ამას უმარტივესი მიზეზი აქვს - გავაჩეროთ ქუჩაში ათი კაცი და ვკითხოთ, რა მოხდა ათას ხუთასი წლის წინ - სულ ცოტა, ორ ვერსიას მივიღებთ. ანუ ფაქტები აღარ არსებობს, ისინი ვერსიებმა, ფანტაზიებმა, ილეუზებმა შეცვალა და ამ დროს ჩვენი საამაყო ავენიუც კიდევ ერთხელ აყროლდა.

მანც ვინ ვართ? რა გვინდა? და როგორ უნდა მივალნოთ იმას, რაც გვინდა? თუ ამ სამ კითხვას ფაქტებით ვუპასუხებთ, ერთი ნაბიჯით მანც ნავინევით წინ და შარდ-განავალ-ტურტლის არომატს იმ ჭადრების სურნელით შეეცვლით, რომლებთან ბირჟაობა და ფურთებაც ასე უყვარდა ქართულ მარაზმატიკულ ინტელიგენციას.

### ვინ ვართ?

სხვების და ერთმანეთის დასახახად ჩვენი დევიზია "მამული, ენა, სარწმუნოება" (და არა ენა, მამული, სარწმუნოება, როგორც "რიგით ილილეებს" და ილიამდე ამაღლებულ ჩვენს თანამედროვეებს ჰგონიათ). სინამდვილეში კი "ღვინო, დუღუკი, ქალების" ხალხი ვართ. როდესაც პირველს ვამბობთ, ქვეცნობიერად მეორეს ვუფრთხილვით და, როგორც ჩანს, ეს შირმა მშვენიერად უძლებს დროს. მამულით, ენით და სარწმუნოებით სპეკულირება ყველაზე მოკლე გზა აღმოჩნდა იმისთვის, რომ სპეკულანტებმა ნატვრა აისრულონ და ღვინით გალემილებმა ხან დუღუკი აკენსონ და ხანაც "მანდილოსნები".

ანუ ვაჭრობა კარგად გვეზერება. განსაკუთრებით გემრიელად ავიტაცეთ და 21-ე საუკუნეში სერიოზული წარმატებები გვაქვს შემდეგი მარკეტინგული მიმართულებებით: სუბუტექსი და რელიგია.

თავის სქელტანთან ნაშრომი Ideas for the Philosophy of History of Humanity, რომელშიც საუბარია ცივილიზაციის განვითარებაზე სამყაროს შექმნიდან მოყოლებული, მეთვრამეტე საუკუნეში მოღვაწე გერმანელი ფილოსოფოსი, თეოლოგი და კრიტიკოსი იოჰან გოტფრიდ ჰერდერი საქართველოს მხოლოდ ერთ პატარა აბ-

ზაცს უთმობს: "მღვწეობა დეობა დეობა და დეობა დეობა...".

საქართველოს შეღამაზებულ ისტორიაშიც და დღესაც კარგად ჩანს, რამდენად უპასუხისმგებლოები და არაადეკვატურები ვართ სახელწოდებრიობასთან მიმართებაში. ჩვენთვის არც ღალატი იყო უცხო და იშვიათი ამბავი. ქართველები ერთმანეთს ღალატობდნენ მტრის სასარგებლოდ, რათა მერე მისი კალთის ქვეშ მშვიდად გაზუღუქებულნივენი და მხოლოდ იმაზე ეფიქრათ, ჩიხირთმა უკეთესია თუ ბოზბაში. პრინციპმა: "მე კარგად ვარ და სხვისი (სამშობლოს ჩათვლით) დედაც მოვტყაწ", საუკუნეებს გაუძლო და დღემდე ღირსეულად მოატანა.

არადა, ნახეთ, რა მოხდა მაშინ, როცა რუსებმა ეკონომიკური ბოკოდა გამოგვიცხადეს - ლატვიაში როგორ გაიზარდა "ბორჯომის" გაყიდვები. ამ ხალხმა ჩვენდამი სოლიდარობა გამოხატა იმით, რომ ყოველი მეორე ლატვიელი, სჭირდებოდა თუ არა, ყოველ დღით "ბორჯომს" ყიდულობდა. არავითარი პიარ-აქცია იქ არ ყოფილა, არავის უთქვამს მათთვის, მოდი, ასე მოვიქცეთო. უბრალოდ, მათი შეგნება განვითარების ამ ეტაპზე და სწორედ ესაა კულტურა და არა ის, რომ ქალაქში ცნობილმა თამადებმა "ვეფხისტყაოსანი" ზეპირად იციან. მთავარია არა ის, რაც იცი ან რაზეც ვაძაზაზა ლაპარაკობ, არამედ ის, თუ რას აკეთებ. მით უმეტეს, როცა საქმე სახელმწიფოს შექმნას ეტება.

დამოუკიდებლობის გამოცხადების შემდეგ ჩვენ უსუსურ და ამის ნიადაგზე გაბოროტებულ ბავშვებს დავემსგავსეთ - ვერაფერს ვაკეთებთ და ამის გამო ერთმანეთს ვერხუბობთ, ვაბრალდებთ ათას მამაძალობას, ნაცვლად იმისა, რომ ყველამ, "აუსოლიტურად" (ეს ამ სიტყვის ელიტური ვერსიია) ყველამ, ჩვენი საქმე ვაკეთეთ. მაგრამ არა, არ გამოგვიღის. რატომ? იმიტომ რომ, როგორც ჩანს, და როგორც ყოველდღიურად მტკიცდება, ერთმანეთი გვეზიზღება! გადაჭარბებული ნათქვამია? რა ვიცი, ჩართეთ ტელევიზორი, მოუსმინეთ რადოსს, გაეცანით პრესას, იარეთ ერთი დღე თბილისის ქუჩებში და მერე განსაჯეთ. არსად, ყველაზე განუვითარებულ ქვეყნებშიც კი არაა ასეთი უარყოფითი ენერგეტიკა.

ერთი პერიოდი ამერიკაში მომინია ცხოვრებამ და კვირაში ერთხელ მესმოდა, თუ როგორ გაფატრა ქართველმა

ქართველი, როგორ წაართვა ფული, როგორ მოატყუა, როგორ გადაადგო და ასე შემდეგ, კარგი არაფერი. ძალიან ძნელად ასახსნელი ფენომენია. მგონი ამოუხსნელი. და ომის დროს რა ხდებოდა? ნაწილი იბრძოდა და იბრძოდა ძალიან მაგრად, ზოგი ქალაქიდან გარბოდა, ზოგი რესტორანში გულაობდა და ზოგიც სულგანაბული ელოდა, როდის ჩაიგრუხუნებდა რუსული ტანკი რუსთაველზე. წუთუ არ შეიძლება ომის დროს მაინც ვიყოთ ერთად?

### რა გვინდა?

მე მინდა, რომ ამ ქვეყანაში ადამიანებმა მშვიდად იბრძონ, ამისთვის შესაბამისი ანაზღაურება მიიღონ და საკუთარ ოჯახებს მოუარონ.

რომ არ ვიცოდე, ვინაა გამგებლის მძახლის ნაშა. არავინ იფურთხებოდეს ქუჩაში და არ ისროდეს ნაგვით სავსე პარკს აივნიდან. სადმე შესვლისას ყველა არ გიყურებდეს. აღარ იარსებოს ნეკზე ნაზრდილმა ფრჩხილმა, რომელიც ხან ცხვირშია და ხან სალათს მარილს აყრის. მთელი თვითმფრინავი ფეხზე დგებოდეს და აბარგებას იწყებდეს იმ ნაშვე, როგორც კი უკანა ბორბლები მიწას ეტება. არ გავიციო ფრაზები: ჭეშმარიტი მართლმადიდებელი, ნამდვილი ქართველი, ერი გაიზარდა, გადადექი, ბრძენი ქართველი ხალხი ამას არ დაუშვებს, დადგულია, მასონია, რუსეთის ავენტია, ჩვენთან არს ღმერთი, ბენდუქიე იუდა, ღვთისმშობლის ნიღბვედრი ქვეყანა, დავანახოთ მთელ მსოფლიოს, გამონვეგებს გაუუძლით, არ ჩამოვიძალოთ, გვეშველება რამე...

მინდა, რომ გლგებს კარგი მოსავალი ჰქონდეს, ვიცხოვროთ ღამით, სუფთა ქალაქებსა და სოფლებში, ხშირად ვიბანაოთ, გავისვენოთ ჩვენი ტრადიციები და თანამედროვეობას მივუსადაგოთ, განვითარდეს მეცნიერება, ხელოვნება, ეკონომიკა, სპორტი, საზოგადოება. დავივინყოთ ეს ამძალებული პოლიტიკური სუქტრი და ამით ჩვენი გონებიდან მის გაქრობას შევეწყნოთ ხელი. ტელეფურნალიტებმა ისწავლონ ლაპარაკი, გააკეთონ საინტერესო სიუჟეტები, პრეს-რეპორტიორებმა ისწავლონ წერა, ფიქრი და ანალიზი. ფეხზე დადგეს განათლების სისტემა, რის გარეშეც, უბრალოდ, არაფერი გამოვა.

ხალხი ქუჩაში ერთმანეთს უღიმოდეს, ესალმებოდეს, გზას უთმობდეს. შეყვარებულები ერთმანეთს კოცნიდნენ სადაც, როცა და როგორც გაუხარდებოდათ და ამას არავინ აქცევდეს ყურადღებას. "რა სექსუალური ხარ" იყოს კომპლიმენტი და არა შეურაცხყოფა.

ძალიან მინდა, ერთხელ და საბოლოოდ გავიგოთ, რომ რელიგია ყოფს და რწმენა აერთიანებს, ამიტომ საპატრიარქოს თავყანისცემა რწმენით შეიცვალოს

და ამაზე ხმამალა აღარავინ იმსჯელოს. ქვეყანაში ცხოვრება და საქმის კეთება ინყებოდეს დღის ცხრა საათზე და არა ნაშუადღევს. აღარ ვნახო მორტალ-საინფორმაციო გამოშვებები, მარგინალური გადაცემები, არასასაცილო იუმორი, გულისამრვეი ჟურნალ-გაზეთები, სამარცხვინო რეკლამები და საარჩევნო კლიმები.

ეს ყველა ჩვენგანის სურვილია, მაგრამ როგორ მივალნოთ იმას, რაც გვინდა?

ამოცანის პირობა უკვე ვიცით, უკვე ვისაუბრეთ სანყის პუნქტზეც (ვინ ვართ) და საბოლოოზეც (რა გვინდა). ამ ორ წერტილს შორის ძალიან გრძელი და ციცაბო აღმართია. ამ აღმართზე კი რამდენიმე დაბრკობებაა, როგორც კომპიუტერულ თამაშებში, სადაც თანმიმდევრულად უნდა გაიარო მისიები, დაგროვო ქულები, მიიღო ბონუსები, გასაღებები და მხოლოდ შემდეგ მოხდებ იქ, სადაც მიდიხარ. სხვა გზა, უბრალოდ, არ არსებობს.

ალტერნატიული მარშრუტის არარსებობის ამბავი ჩვენც გადასარგევად ვიცით, მაგრამ იმდენად უბრალოდ ვართ და იმდენად ნიჭიერი გვგონია საკუთარი თავი, რომ აქსიომებს ფეხზე ვიკიდებთ და შემოვლით მოკლე ბილიკებს ვეძებთ. თავს ვიტყუებთ რა.

ამ დისტანციის გასაველეად დიდი დადებითი ენერგია და დროა საჭირო. რალაც ენერგია თითქოს გვაქვს, მაგრამ არასწორად ვიყენებთ, უაზროდ ვხარჯავთ და ნაცვლად იმისა, რომ წინ დაეწინავდეს ვიაროთ, უკან და სხვა მიმართულებით მივცოცავთ. დრო კი მიდის. თუ ადრე ინფანტილური სიამაყით გავიძახოდი, ეგენი ხეებზე დაბობლავდნენ, საქართველო რომ მსოფლიოს კულტურული ცენტრი იყოო, დღეს ჩვენ ვართ ხეებზე და ვუყურებთ, რა ხდება კულტურულ ცენტრებში. ოპოზიცია ხელისუფლებას ღანძლავდა იღვრება იფლად, მთავრობა ამის მოგერიებაზეა გადართული, რამდენიმე ნაწილად დაყოფილი ხალხი კი იმაზე ჩხუბში ათენალამებს, რომელიმე მართალია. როგორ შეიძლება ამ სამკუთხედში დადებითი ენერგეტიკა წარმოიქმნას? ლოგიკურად არც იქმნება და არც შეიქმნება მანამ, სანამ ტენის და ხელს არ გავანძრევთ. სანამ ჩვენ-ჩვენი საქმით დაკავებულებს იმაზე საფიქრალი დრო აღარ გვექნება, თუ რა უთხრა გუმინწინ ერთმა გონებაჩლუნგმა პოლიტიკოსმა მეორე ერთუფრედლიანს და რა რეაქცია ჰქონდა ამაზე ეგლენისებურ წამყვანს.

პირობითად ასი ენერგეტიკული ქულა უნდა დაგავროვოთ "იბერიის გასაბრწყინებლად". ამ "ბრწყინვალებაში" ზემოხსენებული მინიმალური მოთხოვნები იგულისხმება. თავიდან შედარებით მარტივი ბარიერები შეგვხვდება, მაგალი-

თად, სისუფთაის დაცვა, ფეხით მოსიარულეთათვის გზის დათმობა, თეატრში ტელეფონის გამართვა და, შესაბამისად, ქულებიც ნაკლები დაგვეწერება. მერე და მერე კი საქმე გართულდება, მოგვინევს სიძულვილისა და შურის ლიკვიდაცია, რაც სერიოზულ ბონუსებს მოგვიტანს, გავწყვეტთ ფარისევლობას და ყალბ ფასულობებს, ზუსტად გავარკვევთ, ვინ ვინაა, უგარბისებს საბოლოოდ მოვივერთ ნავგის ყუთში (თუ გნებავთ, ჩარეცხვა დაგარქვათ) და მივადგებით მთავარ ჭიშკარს, რომლის იქით ყოფნაც უკვე დიდი გამარჯვება იქნება. ეს არის კანონის შესასველეო.

საქართველოში თავად კანონის გარდა ყველაფერს უკანონია - ქრთამს, სტეჟკისს, ქურდებს, მილიციას, ოლიგარქებს, რელიგიას, ჩინოვნიკებს... ამიტომ ჩვენ წარმოდგენაც არ გვაქვს, რა არის კანონმორჩილება, არ ვიცით კონსტიტუციის ფასი და ძალა. თუმცა იმისთვის, რომ გავიგოთ, ჯერ უნდა შევექმნათ. შევექმნათ ლიბერალური, დემოკრატიული, ელასტიკური კანონი, რომელიც არასდროს თუ არა, ძალიან დიდხანს არ შეიცვლება და რომელსაც, უპირველესად, მთავრობის წევრები დაცვენ. ზუსტად ამისთვის გვჭირდება განვითარებისთვის აუცილებელი ის ბონუსები, რომელსაც მხოლოდ დრო და სწორი მიმართულებით პროგრესირება მოგვითანს. დაიძინო, გავიციო და კანონი უზენაესად ცნო, ვერე არ გამოვა, ამას შეიძლება თაობები დასჭირდეს და რაც უფრო გადავდებთ ამ საქმეს, მით მეტ თაობას ნაიდებს პროცესი.

როდესაც ამ ჭიშკარს შევადგებთ, იმ წამსვე გაქრებიან ის ტიპები (ეგრეთ ნოდებული პოლიტიკოსები, ექსპერტები, მისიები), რომლებიც პირდაპირ ეთერში პირფრების წერით ვგუგუანენ, გაუფონარი სისულენეებს ლაპარაკობენ, ხავიან, ღნავიან, ივინევიან, ირტყემენევიან და ამით ბევრის, სამწუხაროდ, ძალიან ბევრის თვალში გმირები ხდებიან. გაქრებიან იმიტომ, რომ მათზე მოთხოვნილება აღარ იქნება. მერე უნიჭო ხელოვნები, ვითომ მწერლები, დაობებული ინტელიგენტები, პუტანეები და ბანდიტები ველისა ილაპარაკებენ "ერის მოზაალები". მერე ვერც მღვდლები და ვერც მთავრობის წევრები ველარ იღლიან მატარებლის ხელა მანქანებით და ზვიდან ვერ დაგვწყებენ ყურებას. მერე ყველაფერი კარგად იქნება იმიტომ, რომ ვიქნებით განვითარებული ხალხი და ვერავინ გავკვივდავს იმას, რასაც დღეს გვიბედავენ. მუსიკას ჩვენ, ცივილიზებული სახელმწიფოს ცივილიზებული მოქალაქეები შევუკვეთავთ და აბა, ვინმეს ერთი ნოტი შეემალოს!

## პერესს კაკას გადაბირება 110 მილიონი დაეჭდა

ის, რომ კაკა მომავალი სეზონიდან მადრიდის "რეალში" ითამაშებს, უკვე ცნობილი ამბავია. ესპანური მედიის მტკიცებით, კაკა რამდენიმე დღეში ჩავა მადრიდში და სამედიცინო შემოწმებას გაივლის. ახლა მსოფლიოს ერთ-ერთი საუკეთესო ფეხბურთელი ბრაზილიის ნაკრებთან ერთად და ემზადება მსოფლიო ჩემპიონატის შესარჩევი ციკლის მატჩისთვის, რომელსაც პენტაკამპონები ხვალ პარაგვაის ნაკრებთან გამართავენ.

მართალია, ბოლო დღეებში რამდენჯერმე თქვეს, კაკა "რეალში" არ გადავაო, მაგრამ, როგორც ჩანს, ეს მხოლოდ სიტყვები იყო. თავად პერესიც ამბობდა, ამდენ ფულს ერთ ფეხბურთელში რა გადაამახდევინებსო, მაგრამ კაცი, რომელმაც თავის დროზე "ბარსელონას" ფიგუ წაარ-

თვა, "იუვენტუსს" - ზიდანს და ყოველი ტრანსფერი სარეკორდო იყო, ფულის ხარჯვას არც ამჯერად მოერიდება, რათა აისრულოს ოცნება და "გალაქტიკური კლუბი" ჩამოაყალიბოს. ამისთვის კი პერესს კაკა სჭირდება.

ესპანური "მარკას" მტკიცებით, ორი კლუბი უკვე შეთანხმებულია და კონტრაქტის პირობები კაკასთვისაც მისაღებია. ნაკრებში გამგზავრებამდე ფეხბურთელმა თქვა, საკუთარ მომავალზე უახლოეს დღეებში მოგახსენებთო, რაც იმის ნიშნავს, რომ კაკა მართლაც აპირებს კლუბის გამოცვლას.

კლუბებს შორის მიღწეული შეთანხმების საფუძველზე "მილანი" კაკას სანაცვლოდ 65 მილიონ ევროს მიიღებს, თავად კაკა "რეალთან" ხუთწლიან კონტრაქტს გაა-



კაკა "რეალის" ფეხბურთელია

ფორმებს და სულ 45 მილიონ ევროს აიღებს (წელიწადში - 9 მილიონ ევროს).

ასე რომ, პერესს კაკას ტრანსფერი, არც მეტი, არც ნაკლები, 110 მილიონი ევრო დაუჯდება. თანხა, რა თქმა უნდა, სოლიდურია, მაგრამ ნუ დაგაინყვებათ, რომ პერესი კარგი ბიზნესმენია. მან იცის, როგორ ამოიღოს ფეხბურთელში დახარჯული ფული. თავის დროზე, როდესაც "რეალისთვის" ვარსკვლავები იყიდა, ეს ბევრმა ფულის უაზრო ხარჯვად ჩათვალა, მაგრამ ისე მოხდა, რომ პერესმა ვარსკვლავების ხარჯვებ გუნდის თამაშშიც გააუფეროვებსა და დიდი თანხისური მოგებაც ნახა - მადრიდის "რეალის" ყველა ფეხბურთელს ხომ სარეკლამო კონტრაქტებში აქვს საკუთარი ნილი.

მკლავჭიდლებმა ევროპის ჩემპიონატზე 7 მედალი მოიპოვეს

1-6 ივნისს ბულგარეთის ქალაქ სოფიაში გამართულ ევროპის ჩემპიონატზე საქართველოს ეროვნულმა ნაკრებმა მკლავჭიდაობის დარგში იასპარეზა. ერეკლე გურჩიანის შეგირდებმა 3 ოქროს, 2 ვერცხლისა და 2 ბრინჯაოს მედალი მოიპოვეს.

ჩვენმა ნაკრებმა, რომელიც 11 სპორტსმენისგან შედგებოდა, კარგი შედეგი აჩვენა. მოპოვებული 7 მედალის გარდა, საქართველოს ნაკრების უმედლოდ დარჩენილი ყველა სპორტსმენი ლიდერთა ექსპულში მოხვდა.

ნიკა მაღალაფერიძე 65 კგ. ოქრო გიორგი ასუშანი 70 კგ. ოქრო გენადი კვიციანი 110 კგ. ოქრო გიორგი ასუშანი 70 კგ. ვერცხლი გენადი კვიციანი 110 კგ. ვერცხლი ვილემ კაპარავა 60 კგ. ბრინჯაო ნიკა მაღალაფერიძე 65 კგ. ბრინჯაო სპორტის დეპარტამენტის პრესსამსახური

მძლეოსნებმა ევროპის ჩემპიონატის წინ საქართველოს ჩემპიონები გაარკვიეს

6-7 ივნისს ბორის პაიჭაძის სახელობის ეროვნულ სტადიონზე საქართველოს ლია ჩემპიონატი ჩატარდა მძლეოსნობაში. მასში მონაწილეობა მიიღეს საქართველოს სხვადასხვა რეგიონის 250-მდე სპორტსმენმა და ისარელების მძლეოსნობის ნაკრების წევრებმა.

გამარჯვებულებსა და პრიზორებს გადაეცათ მედლები, თასები და დიპლომები, ხოლო 7 საუკეთესო მძლეოსანს საქართველოს მძლეოსნობის ფედერაციამ ქართველი ოლიმპიური ჩემპიონებისა და პრიზორების სახელობის პრიზები გადასცა 500-500 ლარის ოდენობით.

ჩემპიონატი ჩატარდა განახლებული ინვენტარით, რომელიც საქართველოს მძლეოსნობის ფედერაციამ ახალი სეზონის დაწყების წინ შეიძინა.

საქართველოს ზაფხულის ჩემპიონატის შედეგების მიხედვით ჩამოყალიბდა ნაკრების ის შემადგენლობა, რომელიც 20-21 ივნისს ბოსნიაში გასამართ ევროპის ჩემპიონატზე (მე-3 ლიგა) მიიღებს მონაწილეობას. საქართველოს ნაკრები ბოსნიაში 18 ივნისს გაემგზავრება.

სპორტის დეპარტამენტის პრესსამსახური

ასათიანის ნარმატებული დაბრუნება

მოსკოვის "ლოკომოტივი" დაბრუნების შემდეგ მალხაზ ასათიანმა პირველი მატჩი გამართა. სანაკრებო ბატალიებით გამოწვეული პაუზით რკინიგზელების ისარგებლეს და აზნაურის მატჩი გამართეს "ხიმკისთან". სწორედ ამ შეხვედრაში შედგა იური სომინისა და მალხაზ ასათიანის დაბრუნება "ლოკომი", რომელმაც "ხიმკის" 1:0 სძლია.

ასათიანი 76-ე წუთზე გამოჩნდა მიწდორზე. ასევე შეცვლაზე შევიდა რკინიგზელთა მეორე ქართველი ფეხბურთელი დავით მუჯირი. მან 46-ე წუთიდან იასპარეზა. მატჩის ერთადერთი გოლი მაშინ გავიდა, როდესაც ორივე ქართველი მიწდორზე იყო.

"მილანმა" ჯეკოს ყიდა ისურვა

გერმანული მედიის ინფორმაციით, "მილანის" ვიცე-პრეზიდენტი ადრიანო გალიანი მოლაპარაკებას მართავს "ვოლფსბურგის" მესვეურებთან 23 წლის ედინ ჯეკოს ტრანსფერის თაობაზე.

ჯეკოს, რომელმაც განვილი სეზონში "ვოლფსბურგის" ჩემპიონობაში 26-გოლიანი წილი დაიღო, კლუბთან კონტრაქტი 2011 წლამდე აკავშირებს.

სავარაუდოდ, "მილანს" ფორვარდში 30 მილიონი ევროს გადახდა მოუწევს. სწორედ ამდენს ითხოვენ ტრანსფერში "მგლების" მესვეურები.

"მილანს" ნამდვილად სჭირდება კარგი მეგოლე. გუნდი ვეტერანი პიო ინჩაგის იმედად არის დარჩენილი. ამ ვითარებაში თუ "როსონერიმ" სასწრაფოდ არ შეიძინა მაღალი დონის ფორვარდი, მომავალ სეზონში გუნდს შეუძლებელი იქნება პრობლემები ექნება.

პანუჩი "რომაში" რჩება

ვეტერანი იტალიელი მცველი კრისტიან პანუჩი შესაძლოა "რომაში" დარჩეს. ფეხბურთელი მწვრთნელთან უთანხმოების გამო აპირებდა გუნდის დატოვებას. ახლა კი, პანუჩის აგენტის განცხადებით, თითქოს ყველაფერი მოგვარდა.

"სპალეტისთან ურთიერთობა გავარკვიეთ და პანუჩის გუნდში დარჩენა შეუძლია. მაგრამ ეს იმას არ ნიშნავს, რომ ფეხბურთელის მომავალი გარკვეულია. ახლა ის საზაფხულო შესვენებით იღებს სიათხვევას. გრძელი და დაძაბული სეზონის შემდეგ კრისტიანმა ძალები უნდა აღიდგინოს. შემდეგ კი, ვნახოთ, რა იქნება. თუ კლუბმა ჩემს კლიენტთან კონტრაქტის გაგრძელება ისურვა, კრისტიანი "რომაში" დარჩება, - აცხადებს პანუჩის აგენტი.

"რომასთან" პანუჩის კონტრაქტი ივნისის ბოლოს ინფორმაციაზე უნდა მოაწიონ ხელი.

კემპელი "შალში" გაუშვებს

"მანჩესტერ იუნაიტედი" მზადაა ახალგაზრდა ფორვარდი ფრეიზერ კემპელი "შალს" დაუთმოს. ტრანსფერის გაფორმებამდე იორკშირელებმა ფეხბურთელთან ოფიციალურ კონტრაქტს უნდა მოაწიონ ხელი.

ფარულია მომავალზე დაფიქრდა

ზაზა ფაჩულიას დღეები "ატლანტა ჰოქსში" დათვლილია. სამ კვირაზე ცოტა მეტი და ქართველი ცენტრი თავისუფალი აგენტი გახდება. დასრულდება მისი ოთხწლიანი კარიერა ჯორჯიულ კლუბში. 1 ივლისს ამოიწურება იმ კონტრაქტის ვადა, რომელიც ზაზას "ატლანტასთან" აკავშირებს. ფაჩულიას სურს კლუბთან კონტრაქტის გაგრძელება, მაგრამ არსებობს უამრავი ნიუანსი, რომელიც, შესაძლოა, ჯორჯიელებმა ვერ გაითვალისწინონ. საკუთარ მომავალზე ზაზა გამოცემა The Atlanta Journal-Constitution-ის ჟურნალისტ სეკიუ სმითისთვის მიცემულ ინტერვიუში საუბრობს.

- 1 ივლისს თავისუფალი აგენტი გახდებით. საკუთარი მომავალი უნდა გადანიშნოთ. რამდენად მნიშვნელოვანია ეს ზაფხული თქვენთვის?

- მართალია. ჩემთვის, ცოტა არ იყოს, სანერვიულო პერიოდი იწყება. სეზონის მანძილზე ვცდილობდი ამაზე საერთოდ არ მეფიქრა. ზაფხულში, პირველ რიგში, ოჯახთან დროს გატარებაზე ვფიქრობდი. თან წლეულს მამა გავხედი და ეს ჩემი პირველი ზაფხულია შეიქნება ერთად. მინდა, რაც შეიძლება, მეტი დრო გავატარო მასთან. იმედი, დრო ნელა გავაღწე და 1 ივლისი მაღე არ დადგება. ცხადია, ვგრძნობ ამ თარიღის მოახლოებას. ისიც ვიცი, რომ საქმე ბლომად მექნება. "ატლანტაში" დარჩენაზე უარს არ ვიტყვოდი, თუმცა, გამოირიცხული არ არის, რომ სხვა კლუბში მომიხდეს გადასვლა. მოკლედ, 1 ივლისს შემდეგ ჩემი მთავარი საფიქრალი ის იქნება, თუ სად ვითამაშებ მომავალ სეზონში.

- რა იქნება თქვენთვის ყველაზე მნიშვნელოვანი ახალი კონტრაქტის გაფორმებისას?

- ზეპირად ლაპარაკი ძნელია. კონტრაქტი წინ უნდა გედოს და მაშინ შეიძლება საუბარი. მნიშვნელოვანია ყველაფე-



სად ითამაშებს ფაჩულია. ამ ზაფხულს გადანიშნება

რი - რა თანხას გთავაზობენ, რა როლი გენიჭება მომავალ გუნდში, რა მიზანი აქვს გუნდს... მოკლედ, მთელი პაკეტი. ყველაფერი კარგად უნდა ანონდირებული იყოს, მთ უმეტესად, მაშინ, როდესაც ოჯახი გყავს. ისეთი გადაწყვეტილება უნდა მიიღო, რომ ამან შენს ოჯახს არ ავნოს.

- მსოფლიო ფინანსური კრიზისის ყველაფერს შევხვობ, მათ შორის, თავისუფალი აგენტების ბაზარსაც. რამდენად იშვიათია ამან თქვენზე?

- ამაზე ფიქრი ახლა დავიწყე. ცხადია, სეზონის მსვლელობისას მშვენივრად ვიცოდი, რომ ზაფხულში ასეთი პრობლემის წინაშე აღმოვჩნდებოდი, მაგრამ მაშინ ამაზე ფიქრი არ შეიძლებოდა. დაუშვებელია, გახვიდე სათამაშოდ და ფიქრობდე, ნეტა ზაფხულში როგორ კონტრაქტს გავაფორმებო. გასულ კვირას ჩემს აგენტს

შევხვდი და ყველაფერზე დანერვილებით ვისაუბრეთ. თავისუფალ აგენტობას თავისი დადებითი და უარყოფითი მხარეები აქვს. უნდა დაჯდე და შემოთავაზებას დაელოდო. არა აქვს მნიშვნელობა, შენი აზრით, რას იმსახურებ. მთავარია რას გაძლევს ღმერთი.

- თქვენ არაერთხელ გითქვამთ საჯაროდ, რომ "ატლანტაში" დარჩენა გსურთ. ამასთან დაკავშირებით რამე ხომ არ შეიცვალა?

- ცხადია, "ატლანტა ჰოქსის" ჩემთვის ბევრს ნიშნავს. აქ ოთხი წელი გავატარე და აქაურობა ჩემს სახლად იქცა. რაც არ უნდა მოხდეს და სადაც არ უნდა აღმოვჩნდე, მომავალში ატლანტა მაინც ჩემი სახლი იქნება. მინდა დარჩენა. მეტსაც გეტყვით, კარიერის ბოლომდე დიდი სიამოვნებით დავრჩებოდი "ატლანტაში". რატო-

მაც არა! თავის დროზე, როდესაც თურქეთში ვიყავი, ექვსი წელი ერთ გუნდში ვთამაშობდი. არ ვარ ის ტიპი, მუდმივი ცვლილებები რომ ხიბლავთ.

- ახლა, როდესაც დრო გავიდა, როგორ შეაფასებთ განვილი სეზონს?

- ჩვენ გვქონდა მიზანი და ამ მიზანს მივაღწიეთ. სეზონის წინ გადავწყვიტეთ, რომ აუცილებლად უნდა დაგვეძლია პლეი-ოფის პირველი ეტაპი. როდესაც ეს შევძელით, თითქოს რაღაც მოხდა, თითქოს მოტივაცია დაგვარგეთ. როდესაც პლეი-ოფის შემდეგ ეტაპზე გავიდით, ალბათ ვფიქრობდით, "კლივლენდის" დამარცხება შეუძლებელიაო და აღარც გვიბრძოლია. ახლა კი, როდესაც "ორლანდოსა" და "კლივლენდის" მატჩს ვუყურებდი, მივხვდი, რომ ჩვენც შეგვეძლო "კავალიერსთან" გვებრძოლა და, სულ მცირე, საკუთარ მოედანზე თამაშები მოგვეყო.

- 25 წლის ხართ. უკვე 6 წელია NBA-ში თამაშობთ. ალბათ ბევრი ფიქრობს, რომ ასეთი მაჩვენებლებით ძირითად სუთელში თამაშის პრეტენზია უნდა გქონდეთ და სათანადო როლით არ კმაყოფილებოდეთ. რამდენად განწყობთ ის როლი, რომელიც "ატლანტაში" გაქვთ?

- "მანყობს" ის სიტყვა არ არის, რომელიც აქ უნდა ვიხმაროთ. მაჩვენებთ კალათბურთელი, რომელიც კმაყოფილია სათანადოროთა სკამზე ჯდომით. ყველას ძირითად სუთელში უნდა ყოფნა და მოედანზე მაქსიმალურად დიდი დროის გატარება. თუმცა მინდა "შიაიამისთან" გამართული პლეი-ოფის სერის მეოთხე მატჩი გავიხსენო. ის თამაში რომ ნაგვეგო, ან-გარიში 3:1 გახდებოდა "ჰიტის" სასარგებლოდ და ჩვენთვის ყველაფერი დაკარგული იყო. დიახ, სათანადო ვარ, მაგრამ იმ მატჩში თამაშის ბედი გადავწყვიტე. მიმაჩნია, რომ ეს იყო ჩემს კარიერაში საუკეთესო მატჩი. აი, ეს არის ჩემთვის მთავარი.

შვილკაცა კონტინენტის პირველობას მიუახლოვდა

საქართველოს შვილკაცა ნაკრები ევროპის ჩემპიონატის ფინალურ ეტაპზე მოსახვედრად იბრძვის. კონტინენტის პირველობა 11-12 ივლისს გერმანიის ქალაქ შპიტიხეიმში გაიმართება. მასში 12 საუკეთესო გუნდი მიიღებს მონაწილეობას. ამ გუნდების გამოსაჯელნად კი შვილკაცა რაგბის ევროპული სერია იმართება. თითოეულ გუნდს ორ სერიაში მონაწილეობის უფლება აქვს და ამის შედეგად დაგროვილი ქულების მიხედვით შეირჩევა 12 გუნდი.

საქართველოს შვილკაცა ნაკრებმა ჯერ პოლონურ სერიაში ითამაშა, სადაც მესამე ადგილი დაიკავა, გასულ უქმეებზე კი კახა ალანისა შეგირდებმა ოდესამდე გამართეს მორიგი ეტაპი. იქაც მესამე ადგილს დასჯერდნენ, საკუთარ აქტივს 14 ქულა შემატეს და შესარჩევი ციკლი 28 ქულით დაასრულეს, რაც, წესით, ევროპის ჩემპიონატზე მოსახვედრად საკმარისი უნდა იყოს.

პოლონური ეტაპის შემდეგ

ქართველებმა ლონდონისა და ედინბურგის მსოფლიო სერიები მოიარეს და, იქ არცთუ წარმატებული თამაშის მიუხედავად, კარგი გამოცდილება შეიძინეს, რაც ევროპელებთან ჩიდილში გამოგვადგა.

თუნდაც ის ფაქტი, რომ ჯგუფურ ეტაპზე საქართველოს ნაკრებმა ერთი ლელოც არ გაუშვა, კახა ალანისა შეგირდების დიდ გამოცდილებაზე მეტყველებს. კახა ალანისა რაზმი მთლიანად საქართველოში მობურთალი მორაგებებით იყო დაკომპლექტებული. ჩვენებურებმა ოდესური ეტაპი წარმატებით დაიწყეს. პირველი მატჩი შვეიცარიის ნაკრებთან გამართეს და, მოლოდინისამებრ, მეტოქე უპრობლემოდ - 50:0 დაამარცხეს. მეორე მატჩში ქართველები ბერძნების წინაშე წარდგნენ და განსაკუთრებული ოფლის ღვრის გარეშე - 39:0 გაიმარჯვეს. პირველი დღის ბოლოს საქართველოს ნაკრები ჯგუფში თავის მთავარ მეტოქეს, რუმინეთს ეთამაშა და აქაც

შეუდარებელი იყო - 22:0.

გადამწყვეტი აღმოჩნდა ტურნირის მეორე დღე, რომელიც საქართველოსა და პოლონეთის მატჩში გაიხსნა. პირველ მატჩზე ეტაპზე, რომელიც პოლონურ ქალაქ სოპოტში გაიმართა, ჩვენმა შვილკაცა ნაკრებმა სწორედ ამ გუნდთან წააგო და ოდესაში სრულყოფილი რევანში შედგა. ალანისა შეგირდებმა მეტოქე 36:0 დაამარცხეს.

ნახევარფინალში "ბორჯღალოსანთა" მეტოქე რუსეთის ნაკრები იყო. ქართველებმა თამაში ფრთხილად დაიწყეს. დაძაბულ ბრძოლაში პირველი ტაიმი რუსების გამარჯვებით - 5:0 დასრულდა. მეორე ნახევარში ქართველები გააქტიურდნენ, მაგრამ რუსთა დაცვა ვერ გატეხეს და მეორე ლელოც გაუშვეს. შეხვედრის ბოლოს მოედანზე ჩხუბი ატყდა, რის გამოც რეფერიმ ჩხუბის ამტეხი ქართველი მოედნიდან გადაიყვანა და კაცნაულ "ბორჯღალოსანებს" მესამე ლელოც გაუტანეს, რის შემდეგაც 0:17 დამარცხდნენ.

მესამე ადგილისთვის საქართველოს ნაკრები რუმინეთს შეხვდა. პირველი ტაიმის მიწურულს ქართველები ლელოთი დანაწარმდნენ, რასაც მცირე ჩხუბი მოჰყვა. სიტუაციის ჩანაწერების შემდეგ "ბორჯღალოსნებმა" რეალიზაცია გამოიყენეს და შესვენებისას 7:0-ს იგებდნენ. მეორე ტაიმის დებიუტშივე საქართველოს ნაკრებმა ლელო გაიტანა, რასაც კიდევ ორი დაამატა და საბოლოოდ 24:0 გაიმარჯვა.

ვაჟების პარალელურად შეიქალა ნაკრებმაც ითამაშა. ბოსნიის ქალაქ ზენიცაში დასრულებულ ევროპის ჩემპიონატის შესარჩევ B დივიზიონში საქართველოს შვილკაცა ნაკრებმა მეექვსე ადგილი დაიკავა და კონტინენტის პირველობაზე გასვლის შანსი დაკარგა.

თუმცა ეს ურიგო შედეგი არ არის. გასულ წელს ანალოგიურ ტურნირში ჩვენმა გოგონებმა მხოლოდ ორი თამაში მოიგეს, წლეულს კი სამი გამარჯვება მოიპოვეს.

# ბრაზილიური პრობლემა

ეს მხოლოდ ბრაზილიური პრობლემა როდია. ეს არის ყველა იმ ქვეყნის პრობლემა, რომელშიც საფეხბურთო ბიზნესი არ დგას სათანადო დონეზე, სადაც კლუბებს არა აქვთ იმის საშუალება, რომ ახალგაზრდა და ნიჭიერ ფეხბურთელებს ისეთი ფინანსური პირობები შესთავაზონ, როგორც ინგლისში, ესპანეთსა თუ იტალიაშია. ამის გამო ხანდახან გრანდები ლამის ჩვილ ბავშვებს ყიდულობენ. ცხადია, ეს პრობლემა ყველაზე მეტად სამხრეთ ამერიკას ეხება. არგენტინასა და ბრაზილიაში ტალანტებს რა გამოლევს. ევროპული გრანდების გაქცევის მესვეურები კი მშვენივრად ხვდებიან, რომ რაც უფრო ახალგაზრდა ფეხბურთელს შეიძენენ, მით უფრო იაფი დაჯდება ტრანსფერი. თუნდაც კაკას ან პატოს მაგალითი ავიღოთ. ორივე ახალგაზრდა ასაკში გადაბარგდა "მილანში" და ახლა მათი სატრანსფერო თანხა გახუთმაგებულია.

ბოლო ხანს ახალგაზრდა ბრაზილიელი ვუნდერკინდების გადაბირებით "მანჩესტერი" დაინტერესდა. მარტო ბოლო ორი წლის განმავლობაში ამ გუნდში სამი ბრაზილიელი მოზარდი აღმოჩნდა - რაფაელი, ფაბიო და სილვა და როდრიგო პოსელონი. ახლა კი "მანჩესტერმა" კონტრაქტი გააფორმა 17 წლის მცველთან, რომელიც მომავალი სეზონიდან გადავა ინგლისურ გრანდში.

შექმნილი ვითარებით უკმაყოფილოა ბრაზილიური ფეხ-



რაფაელი - "მანჩესტერის" ბრაზილიელი ფეხბურთელი

ბურთის ლეგენდა კარლოს ალბერტო, რომელმაც საკუთარი პოზიცია ბრიტანელ ჟურნალისტებთან საუბარში გამოხატა.

"ისეთი ვითარება შეიქმნა, რომ შეიძლება თამამად ვთქვა: "მანჩესტერი" ბრაზილიურ ფეხბურთს ქურდავს. წარმოუდგენელია 17 წლის ბავშვის ყიდვა. არადა, ამის წინააღმდეგ ვერაფერს გააწყობ. ადგილობრივი კლუბების ფინანსური შესაძლებლობები შეზღუდულია. ისინი ნიჭიერ ფეხბურთელებს ვერ ინარჩუნებენ და ასე ახალგაზრდა ბრაზილიელები აღმოჩნდებიან ევროპულ გრანდებში. შემდეგ კი რა ხდება? ზოგს უმართლებს, ზოგი კი წნეს ვერ უძლებს და, როგორც ფეხბურთელი, იკარგება. მიმჩნია, რომ ვითარება უნდა შეიცვალოს. უნდა დანესდეგ ასაკობრივი ლიმიტი. უნდა აიკრძალოს 18-19 წლის ფეხბურთელის გაყიდვა. ტრანსფერი მხოლოდ მას შემდეგ უნდა იყოს შესაძლებელი, რაც მოთამაშე 20-21 წლის გახდება. ამას, პირველ რიგში, ფიფამ უნდა იზრუნოს. მერნმუნეთ, ეს ბავშვები ბრაზილიაში რომ დარჩნენ და გამოცდილება აქ მიიღონ, გაცილებით უკეთეს ფეხბურთელებად ჩამოყალიბდებიან. შექმნილი ვითარება კი ფეხბურთის სიკვდილად მიგვიყვანს. საქმეს ისიც ამძიმებს, რომ ხშირად საკომპენსაციო თანხას კლუბი ვერ იღებს. ფეხბურთელები კლუბებს კი არა, აგენტებს ეკუთვნებიან", - ამბობს კარლოს ალბერტო.

### ელანო კონტრაქტის მოლოდინში

თუ "მანჩესტერ სიტი" ბრაზილიელ ელანოს კონტრაქტს არ გაუხანგრძლივებს, ის კლუბის დატოვებით იმუქრება. "სიტის" ხელმძღვანელობას შეეხვეტი. შევეკითხე, თუ რომელი ფეხბურთელების შედგენა სურდათ და მთელი თუ არა გუნდისთვის საჭირო მოთამაშედ მომავალი სეზონისთვის. ვთხოვე, რომ სამართლიანად მომეცოდნენ. თუ ახალ კონტრაქტს შემოთავაზებენ, დავრჩები. თუ არა - სხვა გუნდს მოვძებნი", - ამბობს ელანო.

### ძენგა გაკვირებულია

იტალიური "პალერმო" მთავარ მწვრთნელად ვალტერ ძენგა დაინიშნა. სწორედ "პალერმოში" თამაშობს ახალგაზრდა ქართველი ფორვარდი ლევან მჭედლიძე. ძენგასთვის სიცილიური კლუბის მთავარი მწვრთნელის პოსტზე დანიშნვა მოულოდნელი აღმოჩნდა. "რამდენიმე დღის წინ ვერც ვიფიქრებდი, რომ "პალერმოში" მიმინევდა მუშაობა. როდესაც კლუბის ხელმძღვანელობას შევხვედი, მაშინვე მივხვდი, რომ გამიმართლა, რადგან საჭირო დროს საჭირო ადგილას აღმოვჩნდი. მინდა "პალერმოს" ქომაგებს ვუთხრა, რომ ყოველდღიური დაძაბული მუშაობის შემდეგ ვეცდები, ფეხბურთელებს საკუთარი ძალების რწმენა ჩაუზუნერგო და გამარჯვებულის მენტალიტეტი ჩამოვუყალიბო", - აღნიშნა ძენგამ.

### გვარდიოლას ახალ კონტრაქტს სთავაზობენ

ესპანეთის ტრიუმფატორი "ბარსელონას" ხელმძღვანელობა ახალი კონტრაქტის შეთავაზებას აპირებს გუნდის მთავარი მწვრთნელის ხოსეპ გვარდიოლასა და მემკვირვებელ ვალდისსადმი. კონტრაქტის ზუსტი პირობები არ ხმაურდება, მაგრამ ერთი რამ ცნობილია: პირობები გაუმჯობესებული იქნება. მიმდინარე კონტრაქტი გვარდიოლას 2010 წელს ეწურება. კატალონიელთა პრეზიდენტი ჟოან ლაპორტა კი აპირებს ის 2011 წლამდე დატოვოს გუნდში. "ბარსას" თავკაცის მსგავსად, კონტრაქტს მის თანაშემწეებს - ტიტო ვილანოვას და ხუან კარლოს უნსუესაც გაუგრძელებენ. ლაპორტას ვალდისსადმი შესთავაზებული ახალი ხელშეკრულების ვადა არ დაუკონკრეტებია, თუმცა, იმედი აქვს, რომ "ბარსელონას" მეკარისთვის ნინადამბა მისაღები იქნება.

### პრეზიდენტის ფინანსური პრობლემები

როგორც ესპანური საინფორმაციო საშუალებები იუწყებიან, კლუბი "ვალენსიას" პრეზიდენტმა სორიანომ ვერ შეძლო კლუბის ვალდებთან დაკავშირებული პრობლემების გადაჭრა. ვალი კი 637,6 მილიონი დოლარია და ის თანამდებობიდან გადადგა. ფინანსური პრობლემების გადაჭრას სორიანო იმ მინის ნაკვეთის გაყიდვით ცდილობდა, რომელზეც სტადიონი "მესტალია" განთავსებულია, მაგრამ დავალების დაფარვის ვადისთვის გარიგება ვერ დაასრულა. "თქვენ იცით, კლუბში ჩემი მოსვლის დღიდან (2008 წლის ივლისი) ყოველმხრივ ვიბრძოდი კლუბის როგორც სპორტული, ისე ეკონომიკური გაძლიერებისთვის. მე ვერ შევძელი გარიგების დროულად განხორციელება და ამიტომ მივდივარ. სამაგიეროდ, შარშან მოვახერხე სილვას და ვილას შენარჩუნება და თუ კლუბის ახალი ხელმძღვანელობა მათ გაყიდვას გადაწყვეტს, ტრანსფერების ღირებულება გაცილებით მეტი იქნება, ვიდრე ერთი წლის წინათ იყო. თუმცა, მათ გარეშე ჩვენ სერიოზული პრობლემები შეგვექმნება და ვერთასების საგზურებისთვის ვეღარ ვიბრძოლებთ. მე გუნდს არ დავანგრევ, რადგან ჩვენი ვარსკვლავების გაყიდვა ფინანსურ პრობლემებს მხოლოდ ნაწილობრივ გადაჭრის", - სორიანოს ეს განცხადება Reuters-მა გაავრცელა.

### კონტრაქტი გახანგრძლივდა

"ბოლონის" ოფიციალური ვებგვერდი იუწყება, რომ თავდამსხმელმა მარკო დე ვიომ კლუბთან კონტრაქტი 2011 წლამდე გაახანგრძლივა. დი ვიომ, რომელიც "ბოლონიაში" გასული სეზონის დანყებამდე გადავიდა, სერია A-ში 38 მატჩი ჩაატარა და 24 გოლი გაიტანა. ამ მაჩვენებლით მან იტალიის ჩემპიონატის საუკეთესო ბომბარდირებს შორის, დიეგო მილიტოსთან ერთად, მეორე ადგილი გაიყო. ისინი თითო გოლით ჩამორჩნენ "ინტერის" შვედ ფორვარდს ზლატან იბრაჰიმოვიჩს.

### "აინტრახტს" ახალი თავკაცი ჰყავს

43 წლის მიხაელ სკიბე ფრანკფურტის "აინტრახტს" განვრთნის. ახალ მწვრთნელს "აინტრახტი" საზოგადოებას დღეს წარუდგინა. ფრანკფულტში იღვწის, რომელიც გუნდს 2004 წლიდან ედგა სათავეში, კლუბმა მისივე თხოვნით შეუწყვიტა კონტრაქტი. ახლახან დასრულებულ სეზონში სკიბე სტამბულის "გალათასარაის" წვრთნადა, მანამდე კი ჯერ დორტმუნდის "ბორუსიას" მწვრთნელი იყო (1998-2000), შემდეგ გერმანიის ნაკრებში მთავარი მწვრთნელის რუდი ფილტერის ასისტენტად მუშაობდა (2000-2004), 2005-2008 წლებში კი ლევერკუზენის "ბაიერს" ედგა სათავეში.

### "ბაიერნი" პრანიჩი იყიდა

მიუნხენის "ბაიერნი" "შვეიცერენიისგან" ხორვატიის ნაკრების 27 წლის ნახევარმცველი დანიელ პრანიჩი იყიდა. ტრანსფერის ღირებულება 10 მილიონი ევროა. ბოლო დროს მისი "ლივერპულიც" იყო დაინტერესებული. მართო გომესის, ივიცა ოლიჩის, ალექს ბაუმითაინისა და ანატოლი ტიმოშჩუკის შემდეგ პრანიჩი "ბაიერნის" მეხუთე შეძენილი და, როგორც კლუბის მენეჯერი ული ჰოინერი ამბობს, არა უკანსკელი. "შვეიცერენში" პრანიჩი ოთხი წლის განმავლობაში გამოდიოდა. მანამდე ჯერ "ოსიეკის" (2002-2004), შემდეგ კი ზაგრების "დინამოს" (2004-2005) ღირსებას იცავდა.

# გზა უკვდავებისკენ

ფედერერმა დიდი სლემი გაიმეორა

### გიგა ბურასაგვილი

შვეიცარიელმა როჯერ ფედერერმა მსოფლიოს უმთავრეს თიხნარზე ნავსი გატეხა. ფინალში შვედი რობინ სოდერლინგის დამარცხებით "როლან გარო" მოიგო და დიდი სლემის მეთოთხმეტე ტიტულს დაუფლა. ამავ დროს ვახდა მეექვსე ჩოგბურთელი, რომელმაც ამავ სერიის ოთხივე ტურნირი მოიგო. საფრანგეთის ღია ჩემპიონატი ერთადერთი იყო, სადაც ფედერერს არასდროს არ უმართლებდა. ეჭვიც კი ვაჩნდა, რომ პარიზულ თიხნარზე გამარჯვება მისთვის მიუწვდომლად დარჩებოდა. წლებულს რაფაელ ნადალის ნადრევიად გამოითქვა შვეიცარიელს საქმი გაუადვილა და გამარჯვებაც იზეიმა. ახლა უკვე დიდი სლემის მეთოთხმეტე ტიტულის პატრონით აღფრთოვანებას ვერ მალავს ამდენივე დიდი სლემის მომპოვებელი პიტ სამპრასი. ამბობს, ის ისტორიის ყველაზე დიდი ჩოგბურთელიაო.



მარჯვება სწორედ ამის დასტურია".

ერთი სიტყვით, კვირას პარიზულ კორტებზე გამარჯვების შემდეგ ფედერერის აქტივში ავსტრალიის ღია ჩემპიონატის, "როლან გაროს", უიმბლდონისა და აშშ-ის ღია ჩემპიონატების ტიტულებია. ამასთან პიტ სამპრასის დარად დიდი სლემის 14 ტურნირი აქვს მოგებული.

"როჯერის შედეგი მახარებს. - აღნიშნავს ცნობილი ამერიკელი. - თუ კი ვინმე ამ ტურნირზე გამარჯვებას იმსახურებდა, მათ შორის პირველ ყოვლისა როჯერია.

ფედერერი უბრალოდ, დიდი ჩოგბურთელია. ბრწყინვალე მოთამაშე, რომელიც პატივის სცემს სპორტს. ამასთან დადებითად მოქმედებს ახალგაზრდობაზე. დღესდღეობით ძალზე

ასე მაგალითად, "როლან გაროს" ოთხეზის გამარჯვებულის მსოფლიოს პირველი ჩოგანის რაფაელ ნადალის მეოთხე წრეში ნაგებამ გარკვეულწილად გზა გაუხსნა ფედერერს. საქმი ისაა, რომ ფედერერმა ესპანელს ორიათასზე მეტი სარეიტინგო ქულა ჩამოაწერა, თავად კი ზედმეტი 600 ქულა შეიძინა.

აქედან გამომდინარე ფედერერის ჩამორჩენა 23 წლის მალიორკელთან 4,5-დან თითქმის ორი ათასამდე შემცირდა. ამასთან თუ იმასაც გავითვალისწინებთ, რომ რაფას მონაწილეობა უიმბლდონზე საკითხავია, გამორიცხული არაა, შვეიცარიელმა დაიბრუნოს რეიტინგის პირველი საფეხური და იმავდროულად პლანეტის საუკეთესო ჩოგბურთელის სტატუსიც.

### ATP რეიტინგი:

1. რაფაელ ნადალი (ესპანეთი)	13140
2. როჯერ ფედერერი (შვეიცარია)	11070
3. ენდი მიურეი (დ. ბრიტანეთი)	9230
4. ნოვაკ ჯოკოვიჩი (სერბეთი)	8020
5. დელ პოტრო (არგენტინა)	5480
6. ენდი როდრიკი (აშშ)	4400
7. ჟილ სიმონი (საფრანგეთი)	3970
8. ფერნანდო ვერდასკო (ესპანეთი)	3710
9. ჟო უილფრედ ცონგა (საფრანგეთი)	3510
10. ფერნანდო გონსალესი (ჩილე)	3165



**დაიკყარი მწვერვალი!  
გახდი მოდელი!**

საპრიზო ფონდი  
**\$325 000**

**Elite Model Look Georgia 2009**

სამოდელო სააგენტო "IC Model Management"-ი გიწვევთ საერთაშორისო სამოდელო კონკურსს Elite Model Look Georgia 2009-ში მონაწილეობის მისაღებად.

ღინდა ვანგელისა, სტეფანი სეიმუხი, ელენა შიფუჩი, სინდი ჯოუფოხი - მათ აიჩიეს Elite Model Look-ი და გახდნენ ტოპ მოდელები.

13-22 ნომერ ასაკის გოგონებო, გამოიყენეთ თქვენი შანსი, მიიღეთ მონაწილეობა და გადადგით პიჩვილი ნაბიჯი ტოპ მოდელობისაკენ!

გამაჩვენებელი გამგზავნა Elite Model Look-ის საერთაშორისო ფინალზე, სადაც მას ელის კონტრაქტი სააგენტო ელიტთან და **\$325 000** საპრიზო ფონდი.

თამთა შედანი და ანა კოვაჩი საქართველოდან უკვე თანამშრომლობენ სააგენტო ელიტთან და წახმატებით აჩვენებენ საერთაშორისო სამოდელო კაჩიხას.

**იჩქარეთ! გაიარეთ რეგისტრაცია!**

მისამართი: ნიკო ნოცადის №8 ყოველდღე 11.00 - 18.00 საათამდე (კვირის გახდა); ტელ: 200020; 985148; მობ: 855-959025; info@elitemodellook.ge; casting@icmodels.ge

www.elitemodellook.ge • www.icmodels.ge



**დავით ტატიშვილის სამედიცინო ცენტრის მანუალური თერაპიის და სამკურნალო მასაჟის სპეციალისტი ირაკლი ძიძიგური**

გთავაზობთ:

ყველა ასაკის პაციენტთათვის - დისკოზის, ოსტეოქონდროზის, სქოლიოზის, ართროზის მკურნალობას, ოპერაციის და ტრავმის შემდგომ რეაბილიტაციას თანამედროვე აპარატურისა და ტექნოლოგიების გამოყენებით.

მის.: დავით ტატიშვილის სამედიცინო ცენტრი თბილისი, თენგიზ აბულაძის 20 (ვაკე, „სამების“ ეკლესიის უკან)

ტელ.: 91 31 19; 91 32 42; (899) 222 912;

**ჩვენი საქმიანობის პრიორიტატი ქალის ჯანმრთელობაა! თავი დაიცავით სარკვევი ჯირკვლის და საშვილოსნოს ავთვისებიანი სიმსივნეებისგან !!!**

დავით ტატიშვილის სამედიცინო ცენტრში და მობილურ სკრინინგ-ცენტრში სარკვევი ჯირკვლის და საშვილოსნოს ყელის კიბოს პრევენციის პროგრამით ყოველდღიურად წარმოებს პაციენტთა მიღება.

სარკვევი ჯირკვლის მამოგრაფიული კვლევა ჩაუტარდება 40-დან 70 წლამდე ასაკის ქალბატონებს. გინეკოლოგიური გასინჯვა და პაპ-ტესტი ჩაუტარდება 25-დან 60 წლამდე ასაკის ქალბატონებს.

პროგრამა დაფინანსებულია თბილისის მერიის, „გაეროს“ მოსახლეობის ფონდის მიერ და გათვალისწინებულია დედაქალაქის ქალთა მოსახლეობაზე.

პროგრამა მიმდინარეობს პირველი ლედის მხარდაჭერით.

გამოკვლევები ტარდება წინასწარი ჩანერით. აუცილებელია მოქალაქემ თან იქონიოს პირადობის დამადასტურებელი მოწმობა.

პაციენტების მიღების საათებია: ორშაბათიდან პარასკევის ჩათვლით - 9 სთ-დან 18 სთ-მდე, შაბათს - 9 სთ-დან 15 სთ-მდე.

მის.: დავით ტატიშვილის სამედიცინო ცენტრი თბილისი, თ. აბულაძის 20

(ვაკე, „სამების“ ეკლესიის უკან)

ტელ.: 91 31 19; 91 32 42; ტელ./ფაქსი 25 39 38;



**1 მარტიდან**

საჯალბო ვაჭრობაში "24 საათის" სამშაბათის ნომერი ნიუ იორკ თაიმსთან ერთად ეღირება 1 ლარი. ასევე 1 ლარი ეღირება შაბათის გამოცემა WEEKEND. ხელმომწერებს ეს ცვლილებები არ შეეხებათ, მათთვის 24 საათის ყველა ნომრის ფასი 50 თეთრი იქნება. მარტიდან შესაძლებელი იქნება 24 საათისგან დამოუკიდებლად მხოლოდ სამშაბათისა და შაბათის ნომრების ცალ-ცალკე გამოწერაც. ასეთ შემთხვევაში ხელმომწერის ფასები შესაბამისად იქნება:

- 1 წლით ————— 52 ლარი;
- 6 თვით ————— 26 ლარი;
- 3 თვით ————— 13 ლარი;
- 1 თვით ————— 4 ლარი.

დანვრილებითი ინფორმაციისთვის დარეკეთ: 8 (55) 53 56 55 ალექო ლომიძე;





# საუკეთესო ამერიკული სასოფლო-სამეურნეო ტექნიკა



JOHN DEERE



ქ. თბილისი, დ. აღმაშენებლის ხეივანი მე-12 კმ.  
☎ 24-47-44, 📠 24-47-44 (1219)

სერვის პარტნიორი  
თეგეტა მოტორსი

4 ივნისი, 2009წ.

მუდმივმოქმედი არბიტრაჟი "დავების განმხილველი ცენტრი"  
DRC-ს სასამართლო

### მხარისათვის შეტყობინების მიზნით სხდომის დღის უზუსტობის შესახებ

DRC-ის საარბიტრაჟო სასამართლოს წარმომადგენელი ს/ს ბანკი "რესპუბლიკა"-ს საარბიტრაჟო პრეტენზია ივანე ოშერელის და მათი ჯაბუას მიმართ, საკრედიტო დავალიანების - 2 513,59 ლარის ანაზღაურების შესახებ.

სხენებული საქმის განხილვის მიზნით სასამართლო სხდომა დაინიშნულია 2009 წლის 16 ივნისს 11:30 საათზე, მუდმივმოქმედი არბიტრაჟი "დავების განმხილველი ცენტრში" შემდეგ მისამართზე - ქ.თბილისი, ვაჟა-ფშაველას N71, I სართული

სხენებული სხდომის შესახებ შეტყობინებულ იქნეს მოპასუხე ივანე ოშერელი, მცხ: ზუგდიდი, რუსთაველის ქ.N113; ალტ. მის. ქ.ზუგდიდი, ქორთუას ქ.N18 და მათი ჯაბუა, მცხ: ზუგდიდი, სოფელი ახალსოფელი; ფაქტ. მცხ. ქ.ზუგდიდი, კოსტავას ქ.N4.

### შ.პ.ს."ზღაქ სი გრუპი"

#### აცხადებს ტენდერს არმატურის შესყიდვაზე

- დიამეტრი - 6 მმ. - 2,51 ტონა
- დიამეტრი - 8 მმ. - 24, 65 ტონა
- დიამეტრი - 10 მმ. - 80,71 ტონა
- დიამეტრი - 12 მმ. - 163,31 ტონა
- დიამეტრი - 14 მმ. - 24,48 ტონა

შემოთავაზებული პროდუქცია უნდა აკმაყოფილებდეს შემდეგ სტანდარტებს:

ფოლადი უნდა იყოს A III ტიპის. მწარმოებელი ორგანიზაცია უნდა ფლობდეს და წარმოგვიდგინოს ძალაში მყოფი CARES სანქციონირების სერტიფიკატი ან აღნიშნული სერტიფიკატის სრულად ექვივალენტური სქემა.

საკონტაქტო პირი: დავით ვასაძე 877-52-56-57  
bsgvasadze@mail.ru  
ოფისი: 20-74-74, 20-74-75 ფაქსი: 20-74-20

### ცვლილება საქართველოს კორტატული კომპიუტერების (ნოუთბუქი) შესყიდვის ტენდერის ჩატარების შესახებ ბანცხადებაში

შეტანილ იქნას ცვლილება საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს სსიპ საგანმანათლებლო და სამეცნიერო ინფრასტრუქტურის განვითარების სააგენტო აპარატის და პროგრამა ჩემი პირველი კომპიუტერის" დაფინანსების ფარგლებში პორტატული კომპიუტერების შესყიდვის მიზნით 2009 წლის 5 ივნისის გაზეთ 24 საათი" გამოქვეყნებული საერთაშორისო ტენდერის შესახებ განცხადებაში მე-4 და მე-5 პუნქტში და ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

4. დაინტერესებულმა პირებმა საკვალიფიკაციო მონაცემები და სატენდერო წინადადება, ქართულ ენაზე, სამ ეგზემპლარად, (ერთი დედანი, ორი ქსეროასლი) დალუქული პაკეტებით უნდა წარმოადგინონ 2009 წლის 30 ივნისის 15 საათამდე შემდეგ მისამართზე: საქართველო, ქ. თბილისი, დ. უზნაძის ქ. N68, სსიპ საგანმანათლებლო და სამეცნიერო ინფრასტრუქტურის განვითარების სააგენტო", მესამე სართული, ოთახი N12.

5. წარმოდგენილი პაკეტები გაიხსნება 2009 წლის 30 ივნისის 15 საათზე მისამართზე: საქართველო, ქ. თბილისი, დ. უზნაძის ქ. N68, სსიპ საგანმანათლებლო და სამეცნიერო ინფრასტრუქტურის განვითარების სააგენტო", მესამე სართული, ოთახი N14."

ხოლო მე-9 პუნქტის პირველი წინადადება ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

სატენდერო დოკუმენტაცია შედგენილია ქართულ ენაზე. სატენდერო დოკუმენტაციის გატანა შესაძლებელია განცხადების გამოქვეყნების დღიდან 2009 წლის 29 ივნისის 18 საათამდე."

### საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტროს ბანცხადება

2009 წლის 21 მაისის გაზეთ 24 საათში" გამოქვეყნებულ N1 (თერჯოლა, სოფ. ბარდუბნის ტერიტორიაზე, მდ. ყვირილაზე ყვირილა"-ს ქვიშა, ხრეშის გამოვლინება) და 2009 წლის 8 მაისის გაზეთ 24 საათში" გამოქვეყნებულ N7 (წალკა, სოფ. შიპიაკის ტერიტორიაზე, შიპიაკი"-ს გრანიტოიდების (სალორლე) გამოვლინება) ობიექტებზე საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტროში 2009 წლის 5 და 8 ივნისს გაიმართა აუქციონი, შესაბამისად აღნიშნულ ობიექტებზე განცხადებების მიღება შეწყდა.

### საგარეო საქმეთა სამინისტრო

საგარეო საქმეთა სამინისტროს მიერ ტენდერის საშუალებით განხორციელებულ შესყიდვაში გამოვლინებულ იქნა გამაჯვებული შ.პ.ს."ალიანსი" საერთო თანხით 919696 ლარი.

საგარეო საქმეთა სამინისტროს სატენდერო კომისია.





ქ. თბილისის მერიის მიერ 2009 წლის 30 მაისს გამოქვეყნებულ ქ. თბილისში, კორპუსების გამაგრება-გაძლიერების სამუშაოების (4 ლოტიანი) სატენდერო განცხადებაში ცვლილების შეტანის შესახებ

ქ. თბილისის მერიის მიერ 2009 წლის 30 მაისს გამოქვეყნებულ ქ. თბილისში, კორპუსების გამაგრება-გაძლიერების სამუშაოების (4 ლოტიანი) შესყიდვის სატენდერო განცხადებაში შეტანილ იქნა შემდეგი ცვლილებები:

შესყიდვის ობიექტს დაემატოს ლოტი N5:

ლოტი N5 - ქ. თბილისში, ვარკეთილი-3, III ს/რ, N334 კორპუსის გამაგრება-გაძლიერება (II ეტაპი);

შესრულების სავალდებულო ვადა - ლოტი N5 - ეტაპობრივად, ხელშეკრულების გაფორმებიდან არაუგვიანეს 6 (ექვსი) თვე;

შეცვლილ იქნას გადახდის დანიშნულება - სატენდერო მოსაკრებელი ქ. თბილისში, კორპუსების გამაგრება-გაძლიერების სამუშაოების (5 ლოტიანი) სახელმწიფო შესყიდვის ტენდერი, ქ. თბილისის მერია.

სატენდერო კომისია

4 ივნისი, 2009წ.

მუდმივმოქმედი არბიტრაჟი "დავების განმხილველი ცენტრი"

DRC-ს სასამართლო

მხარისათვის შეტყობინების მიზნით სხდომის დღის პუბლიკაციის შესახებ

DRC-ის საარბიტრაჟო სასამართლოს წარმომადგენელი ს/ს ბანკი "რესპუბლიკა"-ს საარბიტრაჟო პრეტენზია ზურაბ ჩაჩანიძის მიმართ, საკრედიტო დავალიანების - 1 860.37 ლარის ანაზღაურების შესახებ.

ხსენებული საქმის განხილვის მიზნით სასამართლო სხდომა დანიშნულია 2009 წლის 15 ივნისს 12:00 საათზე, მუდმივმოქმედ არბიტრაჟი "დავების განმხილველი ცენტრში" შემდეგ მისამართზე - ქ.თბილისი, ვაჟა-ფშაველას N71, I სართული

ხსენებული სხდომის შესახებ შეტყობინებულ იქნეს მოპასუხე ზურაბ ჩაჩანიძე, მცხ: ჭიათურა, სტალინის N16;

### ცვლილება სატენდერო განცხადებაში

2009 წლის 23 მაისის N113 ვაზეთ 24 საათში" მარნეულის მუნიციპალიტეტის გამგეობის მიერ ლოტი N1 - მარნეულის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე სოფელ ალგეთში ახალი საჯარო სკოლის შენობის მშენებლობის, ლოტი N2 - ქ. მარნეულის N2 საჯარო სკოლის შენობაზე მიშენების სამუშაოების სახელმწიფო შესყიდვის მიზნით გამოქვეყნებულ სატენდერო განცხადების მე-3 და მე-4 პუნქტებში მოხდა ცვლილებები.

მე-3 პუნქტი ჩამოყალიბდა შემდეგი რედაქციით: დაინტერესებულ იურიდიულ ან/და ფიზიკურ პირებს ქართულ ენაზე შედგენილი სატენდერო დოკუმენტაციის მიღება შეეძლება 200 ლარის ოდენობის სატენდერო მოსაკრებელის გადახდისა და სატენდერო კომისიის აპარატში გადახდის დამადასტურებელი ქვითრის წარმოდგენის შემდეგ (რეკვიზიტებზე: მიმღები - რუსთავის საგადასახადო ინსპექციის მარნეულის განყოფილება ს/ნ 216403229. მიმღები ბანკი: სახელმწიფო ხაზინა, თბილისი, ბანკის კოდი N220101222, ა/ა N 200122900. მარნეულის მუნიციპალიტეტის სახაზინო კოდი 300103174, გადახდის დანიშნულება: სატენდერო მოსაკრებელი, ლოტი N1 - მარნეულის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე სოფელ ალგეთში ახალი საჯარო სკოლის შენობის მშენებლობის; ლოტი N2 - ქ. მარნეულის N2 საჯარო

სკოლის შენობაზე მიშენების სამუშაოების სახელმწიფო შესყიდვის ტენდერი, მარნეულის მუნიციპალიტეტის გამგეობისათვის), ტენდერის ჩატარების შესახებ განცხადების გამოქვეყნების დღიდან 2009 წლის 23 ივნისამდე მისამართზე: ქ. მარნეული რუსთაველის ქ. N71, მარნეულის მუნიციპალიტეტის თვითმმართველობის საფინანსო საბიუჯეტო სამსახურის შენობა (II სართული - მუნიციპალური შესყიდვების განყოფილება). ამასთან, დაინტერესებულ იურიდიულ ან/და ფიზიკურ პირებს სატენდერო მოსაკრებლის გადახდამდე შეუძლიათ შემსყიდველ ორგანიზაციაში გაეცნონ ქართულ ენაზე შედგენილ სატენდერო დოკუმენტაციას.

მე-4 პუნქტი ჩამოყალიბდა შემდეგი რედაქციით: დაინტერესებულმა იურიდიულმა ან/და ფიზიკურმა პირებმა საკვალიფიკაციო მონაცემები და სატენდერო წინადადება შედგენილი ქართულ ენაზე, ორ ეგზემპლარად (ერთი დედანი და ერთი ასლი) ერთ დალუქულ პაკეტში უნდა წარმოადგინონ 2009 წლის 23 ივნისს 10.00 საათიდან 17.00 საათამდე, შემდეგ მისამართზე: ქ. მარნეული რუსთაველის ქ. N73, მარნეულის მუნიციპალიტეტის თვითმმართველობის შენობა (III სართული - გამგეობის კანცელარია).

სატენდერო კომისია

4 ივნისი, 2009წ.

მუდმივმოქმედი არბიტრაჟი "დავების განმხილველი ცენტრი" DRC-ს სასამართლო

მხარისათვის შეტყობინების მიზნით სხდომის დღის პუბლიკაციის შესახებ

DRC-ის საარბიტრაჟო სასამართლოს წარმომადგენელი ს/ს ბანკი "რესპუბლიკა"-ს საარბიტრაჟო პრეტენზია ი.მ "მურად დიასამიძის" და ლილი ვაშანიძის მიმართ, საკრედიტო დავალიანების - 15 424.99 აშშ დოლარის ანაზღაურების შესახებ.

ხსენებული საქმის განხილვის მიზნით სასამართლო სხდომა დანიშნულია 2009 წლის 16 ივნისს 14:00 საათზე, მუდმივმოქმედ არბიტრაჟი "დავების განმხილველი ცენტრში" შემდეგ მისამართზე - ქ.თბილისი, ვაჟა-ფშაველას N71, I სართული

ხსენებული სხდომის შესახებ შეტყობინებულ იქნეს მოპასუხე ი.მ "მურად დიასამიძის", მცხ: ბათუმი, რურუას ქ.N9, ბინა N5 და ლილი ვაშანიძე, მცხ: ბათუმი, ზუბალაშვილის ქუჩის შესახვევი N3.

### განცხადება

ქ. თბილისის ძველი თბილისის რაიონის გამგეობის მიერ "ქ. თბილისში, მ. კოსტავას ქ. N41-ში მდებარე ავარიული შენობის კონსტრუქციული გამაგრების სამშენებლო სამუშაოების" სახელმწიფო შესყიდვაზე სახელმწიფო შესყიდვაზე ჩატარებული ტენდერის საფუძველზე 2009 წლის 25 მაისს ხელშეკრულება გაფორმდა შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოებასთან - "აგრომშენსერვისი".

ქ. თბილისის ძველი თბილისის რაიონის გამგეობის სატენდერო კომისია

### სატენდერო განცხადებაში ტექნიკური შეცდომის გასწორება

ქ. თბილისის ვაკე-საბურთალოს რაიონის გამგეობის მიერ 2009 წლის 6 ივნისის ვაზეთ "24 საათში" გამოქვეყნებულ სატენდერო განცხადებაში დაშვებულია ტექნიკური შეცდომა, კერძოდ NN1 პუნქტში მითითებული ლოტი 1 -ს ობიექტის დახასიათებაში უნდა იკითხებოდეს: - "კაპიტალურ შეკეთებას ექვემდებარება 398 მ მონაკვეთი" და შემდეგ ტექსტის მიხედვით.

სატენდერო კომისია

### გ ა ნ ც ხ ა დ ე ბ ა

სპს ხაჩიძე & გოჩელაშვილების საკონსულტაციო ჯგუფთან არსებული საქართველოს მუდმივმოქმედი არბიტრაჟის წარმომადგენელი ეკატერინე ტოკლიკიშვილის, ლეილა გაბადაძისა და სხვ. საარბიტრაჟო პრეტენზია ქეთევან უჩაიძისა და ნუნუ ცხვედაძის მიმართ თანხის დაკისრებისა და იპოთეკით დატვირთული ქონების რეალიზაციის თაობაზე.

მოპასუხე ნუნუ ცხვედაძე უნდა გამოცხადდეს არბიტრაჟში საარბიტრაჟო პრეტენზიის ჩასაბარებლად მ/წ 10 ივნისამდე. ა/წ 15 ივნისს, 14 სთ. დანიშნულია საქმის განხილვა.

გამოუცხადებლობის შემთხვევაში არბიტრაჟი საქმეს განიხილავს მოპასუხეს დასწრების გარეშე.

მისამართი: 0160, ქ. თბილისი, იმ. ხვიჩიას ქ. №38/40, ბინა №4. ტელ.: 10-47-42; 890-325-325.

არბიტრაჟის თავმჯდომარე: ლ. გოჩელაშვილი

### გ ა ნ ც ხ ა დ ე ბ ა

ქ. თბილისის ძველი თბილისის რაიონის გამგეობის მიერ "ძველი თბილისის რაიონის ტერიტორიაზე მდებარე ავარიული სახლებისა და საყრდენი კედლების აღდგენა-გამაგრების II ეტაპის საპროექტო დოკუმენტაციის შედგენის" სახელმწიფო შესყიდვაზე 2009 წლის მაისის თვეში ჩატარებული ტენდერის საფუძველზე ხელშეკრულებები გაფორმდა შემდეგ ორგანიზაციებთან: ლოტი N1, N3 და N6 - შპს "ტერიტორიათა განვითარების სააგენტო თბილქალაქპროექტი", ლოტი N2 - შპს "არტ უბანი", ლოტი N4 - შპს "მეგზური" და ლოტი N5 - საქართველოს "იკომოსის" კავშირი.

ქ. თბილისის ძველი თბილისის რაიონის გამგეობის სატენდერო კომისია



### ბანკსაღება ტენდერის ჩატარების შესახებ

1. დაინტერესებულმა პირებმა შეუძლიათ წარმოადგინონ სატენდერო მისამართი 200 (ორასი) ლარის ოდენობით შემდეგ რეკვიზიტებზე: „საქართველოს სახალხო ბანკის“ კასპის ფილიალი, ბანკის კოდი: 220101478, მიღების ანგარიშის №33030056, საიდენტიფიკაციო კოდის №232555302, წარმოადგინონ თანხის გადახდის ქვითარი, რის შემდეგაც კადმოფიკაციით ქართულ ენაზე შედგენილი სატენდერო დოკუმენტაცია. სატენდერო დოკუმენტაცია გაიცემა ა/წ 9 ივნისიდან - 29 ივნისის ჩათვლით 18:00 საათამდე.
2. შესყიდვის ობიექტებია:

- I ლოტი -**
1. ქალაქ კასპში ვარჯაანის დასახლებაში ქართლის, თბილისის, აჭარის, კახეთის ქუჩების, ბარათაშვილის და სტალინის ქუჩების ნაწილობრივ სასმელი წყლის მაგისტრალის მშენებლობა.
  2. სოფელ თელიანის სასმელი წყლის სისტემის მშენებლობა.
  3. სოფელ გრაკალის სასმელი წყლის სისტემის მშენებლობა

- II ლოტი -**
4. სოფელ ნიაბის სასმელი წყლის სისტემის მშენებლობა.

3. საშუაოს შესრულების ვადა მითითებული იქნება სატენდერო წინადადებაში.
4. დაინტერესებულმა პირებმა საკვალიფიკაციო მონაცემები ქართულ ენაზე უნდა წარმოადგინონ შემდეგ მისამართზე: კასპის მუნიციპალიტეტის გამგეობა ქალაქი კასპი, მერაბ კოსტავას ქუჩა №18. ადმინისტრაციული შენობა, მეორე ხართელი. საკონტაქტო ტელეფონები: 8 271 2 24 24; 2 25 15;
5. საკვალიფიკაციო მონაცემები უნდა შეიცავდეს შემდეგ ცნობებსა და ინფორმაციას:

- 1.1. **იურიდიულ პირისათვის:**
  - 1.1.1. თურთული პირის რეგისტრაციის დამადასტურებელი დოკუმენტი (ამონაწერი სამწარმოო რეესტრდან);
  - 1.1.2. ცნობა სასამართლოდან, რომ არ მიმდინარეობს შესყიდვაში მონაწილეობის მსურველის გაკოტრების ან რეაბილიტაციის საქმის წარმოება;
  - 1.1.3. ცნობა საგადასახადო ინსპექციიდან, რომ არ მიმდინარეობს შესყიდვაში მონაწილეობის მსურველის მიმართ რეორგანიზაცია ან დიკლინაცია;
  - 1.1.4. ცნობა საჯარო რეესტრის სააგენტოდან რომ თურთული პირის ქონებაზე არ არის დადებული ვადა.
- 1.2. **ფიზიკური პირისათვის:**
  - 1.2.1. ცნობა სასამართლოდან, რომ ის ქმედითურადაა;
  - 1.2.2. ცნობა სასამართლოდან, რომ მის მიმართ არ მიმდინარეობს გაკოტრებისა და სანაჯის საქმე;
  - 1.2.3. პირადობის დამადასტურებელი მოწმობის ასლი;
  - 1.2.4. ინფორმაციის რეესტრაციის საბუთი;
- 1.3. **იურიდიული და ფიზიკური პირებისათვის:**
  - 1.3.1. მონაწილის თურთული სტატუსი (ასლის დართით), რეესტრაციის ადგილი, საბანკო რეკვიზიტები, მოდელის მართვადი ადგილი (მითითებულ საკონტაქტო პირი და ტელეფონი).
  - 1.3.2. ცნობა მასზედ რომ ბიუჯეტის წინაშე არ გაანია დავალიანება (საგადასახადო ინსპექციიდან);
  - 1.3.3. სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოდან წერილობითი დადასტურება, რომ იგი არ არის შესული შესყიდვებში მონაწილე არაკეთილსინდისიერი პირების, პრეტენდენტებისა და მოწოდებლების რეესტრში.
  - 1.3.4. ცნობა საბანკო ანგარიშზე ვადის (ინკასის) არარსებობის შესახებ;
  - 1.3.5. ინფორმაცია ტენდერში მონაწილე პრეტენდენტის მიერ ბოლო სამი წლის განმავლობაში ანალოგიური საშუაოს გამოცდილების შესახებ

№	საშუაოს დასახელება	შესყიდვების დასახელება	ხელშეკრულების დირექტორები	შენიშვნა: სასურველია ხელშეკრულების ასლების წარმოდგენა
---	--------------------	------------------------	---------------------------	---

13.6.	ინფორმაცია მანქანა-მექანიზმების შესახებ, - მონაწილეს ტენდერით კათვალისწინებული საშუაობის შესასრულებლად უნდა გაანდეს საკუთარი ან საქართველოს სამოქალაქო კოდექსით ნებადართული ან აკრძალული ნებისმიერი ფორმით (ქირა, თხოვება და ა. შ.)
-------	---

№	მანქანა მექანიზმების დასახელება	აღწერილობა, მოდელი, ტიპი, მარკა	რაოდენობა	მდგომარეობა (ახალი, ნახშირი, მოქმედებული)	საკუთრება: მფლობელობის და სარგებლობის ფორმა
---	---------------------------------	---------------------------------	-----------	---	---

- 13.7. ტენდერში მონაწილე პირის სპეციალისტთა კვალიფიკაცია და გამოცდილება

№	თანამდებობა, სპეციალობა	გვარი სახელი	მუშაობის საერთო გამოცდილება (წელი)	ანალოგიურ საშუაობებზე გამოცდილება (წელი)
---	-------------------------	--------------	------------------------------------	--

- 13.8. ავტობის დასკვნა ტენდერში მონაწილე პირის ფინანსური მდგომარეობის შესახებ (2008 წლის მდგომარეობით);

- 13.9. სემით აღნიშნული საკვალიფიკაციო მონაცემების წამოგენა საგადასახადო ასევე მონაწილე პირის სუბ-კონტრაქტორებისათვის.
2. ტენდერში მონაწილე ვერ გაივლის საკვალიფიკაციო შერწყვას თუ ზემოთ დადგენილ ვადებში არ წარმოადგენს მოცემულ ვადა ცნობასა და ინფორმაციას, ან ეადბო აღმონდება.
3. პრეტენდენტებს უფლება აქვთ წარმოადგინონ მხოლოდ ერთი წინადადება. აღტენრატული წინადადების წარმოდგენა დაუშვებელია;
4. სატენდერო დოკუმენტაციის გაკვსა (სატენდერო მისამართის გადახდის დამადასტურებელი ქვითრის წარმოდგენის შემდეგ) განხორციელდება განცხადების გამოცქენების დღიდან 2009 წლის 29 ივნისის 18 სთ-მდე პრეტენდენტის მოთხოვნისამებრ შემდეგ მისამართზე: კასპის მუნიციპალიტეტის გამგეობა, მერაბ კოსტავას ქუჩა №18.
5. საკვალიფიკაციო მონაცემები და სატენდერო დოკუმენტაცია პრეტენდენტმა უნდა წარმოადგინონ 2 ვადად (1 დედანი, უნდა იქნეს ორიგინალის ან დამოწმებული ასლების სახით და 1 ასლი), დალუქული კონფერტო ხელმოწერილი და ბეკლდარტემული, 2009 წლის 30 ივნისს 16 სთ-მდე შემდეგ მისამართზე: კასპის მუნიციპალიტეტის გამგეობა, მერაბ კოსტავას ქუჩა №18. საკვალიფიკაციო მონაცემების და სატენდერო დოკუმენტაციის პირველადი შეყვსება მოხდება მსურველ პრეტენდენტთა თანდასწრებით 2009 წლის 30 ივნისს 16 სთ-ზე შემდეგ მისამართზე: კასპის მუნიციპალიტეტის გამგეობა, მერაბ კოსტავას ქუჩა №18.
6. გამარჯვებულმა თურთულმა ან ფიზიკურმა პირმა ხელშეკრულების დადებამდე უნდა წარმოადგინოს ხელშეკრულების შესრულების უზრუნველყოფის გარანტია, საგარანტო თანხის ოდენობა განისაზღვრება ხელშეკრულების ჯამური ღირებულების 5% ოდენობით.
7. დაინტერესებულმა პირებმა დამატებითი ინფორმაცია, წინასწარ სატენდერო წინადადების გარანტიაზე შეიძლება მიიღონ შემდეგ პირისგან: ნინო ჯინიაშვილი 8 99 32 84 94, კასპის მუნიციპალიტეტის გამგეობა, მერაბ კოსტავას ქუჩა №18, მეორე ხართელი.

სატენდერო კომისია

### თვითმმართველი ქალაქი რუსთავის მერია 2009 წლის 8 ივლისს ატარებს აუქციონს

აუქციონზე გამოტანილი იქნება

თვითმმართველი ქალაქი რუსთავის საკუთრებაში არსებული შ.პ.ს "რუსთავის N2 სტომატოლოგიური პოლიკლინიკის" შენობა-ნაგებობა, მასზე დამაგრებული არასასოფლო - სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთით:

უძრავი ქონების მახასიათებლებია:

1. არასაცხოვრებელი ფართი ზონა @N02, სექტორი N04, კვარტალი N03, ნაკვეთის N233 მისამართი: ქ. რუსთავი, ვახუშტის ქ. №6 შენობა-ნაგებობა განაშენიანების საერთო ფართით: შენობა N1-ის სართული I, ფართი 346,2 კვ.მ, სართული II- ფართი 362 კვ.მ., შენობა N2-ის სასაწყობო სასარგებლო ფართი 112,27 კვ.მ.
- არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთის ფართობი-3450 კვ.მ
- საწყისი საპრივატიზაციო ფასი - 100 000 (ასი ათასი) ა.შ.შ. დოლარის ექვივალენტი ლარებით,
- ბე" -40 000 (ორმოცი ათასი) ა.შ.შ. დოლარის ექვივალენტი ლარებით
- ბიჯი" 1000 (ათასი) ლარი.

#### აუქციონში მონაწილეობა, თანხის გადახდის ვადები და სანქციები:

აუქციონში მონაწილეობის მიღება შეუძლიათ საქართველოს ან უცხო ქვეყნის ფიზიკურ და იურიდიულ პირებს, ან ამ პირთა გაერთიანებებს, რომელთა ქონებაშიც საქართველოს სახელმწიფოს, ან ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოს მონაწილეობის წილი 25%-ზე ნაკლებია.

აუქციონში გამარჯვებული მყიდველი ვალდებულია მის მიერ აუქციონზე შეძენილი ქონების საბოლოო თანხა გადაიხადოს აუქციონის ჩატარებიდან არაუგვიანეს 30 კალენდარული დღისა, წინააღმდეგ შემთხვევაში, აუქციონის შედეგები გაუქმდება, მყიდველს არ მიეცემა საკუთრების უფლება და "ბე"-ს შენატანი არ დაუბრუნდება.

აუქციონში მონაწილეობის მსურველთა განცხადებების მიღება წარმოებს განცხადების

გამოქვეყნების დღიდან 30 კალენდარული დღის ვადაში 9 საათიდან 18 საათამდე, (თვითმმართველი ქალაქი რუსთავი კოსტავას გამზირი N20) ხოლო აუქციონის ჩატარების დღეს 9 საათიდან 15 საათამდე, აუქციონი გაიმართება 16 საათზე.

#### აუქციონში მონაწილეობის მისაღებად რეგისტრატორს უნდა წარედგინოს შემდეგი დოკუმენტები:

- ა) დამტკიცებული ფორმის მიხედვით შევსებული განაცხადი;
  - ბ) "ბე"-ს შენატანის დამადასტურებელი საბანკო ქვითარი, რომელიც შეტანილი უნდა იქნეს: ს.ს. "საქართველოს ბანკი" რუსთავის ფილიალი საიდენტიფიკაციო კოდი 220101502 ა.ნ. 266897601 (მიეთითოს გადასახადის დანიშნულება).
  - გ) მონაწილის ბილეთის ფასის - 50 ლარის შეტანის დამადასტურებელი საბანკო ქვითარი, რომელიც შეტანილი უნდა იქნეს: 220101222 სახელმწიფო ხაზინა 200122900 ერთიანი ანგარიში სხვა შემოსულობები (რუსთავი) სახაზინო კოდი 300063282 (სხვა არაკლასიფიცირებული შემოსავალი)
  - დ) პასპორტის ან პირადობის დამადასტურებელი მოწმობის ასლი (ფიზიკური პირის შემთხვევაში);
  - ე) ნოტარიულად დამოწმებული მინდობილობა, თუ მონაწილე მოქმედებს სხვა პირის სახელით;
  - ვ) სადამფუძნებლო დოკუმენტაციის ასლები და მოქმედი ამონაწერი სამეწარმეო რეესტრიდან (იურიდიული პირის შემთხვევაში)
- აუქციონში გამარჯვებულის გამოვლენის კრიტერიუმია ქონების შესაძენად მაქსიმალური ფასის (არანაკლებ საწყის ფასზე "ბიჯი"-ს დანამატით მიღებული თანხის) გადახდა და აუქციონის პირობების დაკმაყოფილება.

დამატებითი ინფორმაციისათვის მიმართეთ: ქ. რუსთავი, კოსტავას გამზირი N20 ტელ: (824) 12 12 66

**ბანკის მატერიალური რესურსების შესახებ**

1. საქართველოს ოკუპაციის სამინისტროს საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტო აცხადებს ტენდერს საკანცელარიო საქონლის და საკანცელარიო საქონლის სახარჯო მასალების შესახებ ორ ლოტად და გიწვევთ მასში მონაწილეობის მისაღებად.

№	დასახელება	სპეციფიკაცია	რაოდენობა	მოწოდების ვადა და ადგილი
<b>ლოტი I</b>				
1.	ტუმის კალამი	ცალი	200	საქონლის მიწოდების საფუძველზე ვადაა ხელშეკრულების ძალაში შესვლიდან 2009 წლის 30 ნოემბრის ჩათვლით, შემსყიდველი ორგანიზაციის ყოველი მთხოვნიდან არაუგვიანეს 10 სამუშაო დღისა  საქონლის მიწოდების ადგილია ქობულთა, წმინციკლოსის/წმინციკლოსის ქ. №2
2.	მაღალი ხარისხის საწერი კალამი	ცალი	30	-----
3.	კალამი	ცალი	7200	-----
4.	სამაგრიანი საწერი კალამი	ცალი	800	-----
5.	ფანქარი	ცალი	1100	-----
6.	სახაზავი	ცალი	200	-----
7.	უნილაი სკოჩი	ცალი	100	-----
8.	დაფის მარკერი	შეკვრა	100	-----
9.	დისკების მარკერი	ცალი	150	-----
10.	მარკერი	ცალი	1500	-----
11.	საკანცელარიო ჯამი	ცალი	400	-----
12.	ანტისტატილი	ცალი	100	-----
13.	სტეპლერი პატარა	ცალი	200	-----
14.	სტეპლერი დიდი	ცალი	400	-----
15.	ბეჭდის მელანი	ცალი	100	-----
16.	ორგანიზერი	ცალი	100	-----
17.	საკანცელარიო დიდი დანა	ცალი	100	-----
18.	საკანცელარიო პატარა დანა	ცალი	100	-----
19.	მაკრატელი	ცალი	100	-----
20.	სათლელი	ცალი	150	-----
21.	სახვრეტელა დიდი ოთხხვეტიანი	ცალი	20	-----
22.	სახვრეტელა პატარა	ცალი	100	-----
23.	წებო	ცალი	300	-----
24.	ჭიკარტი	ყუთი	100	-----
25.	სტეპლერის ტყვია პატარა	შეკვრა	100	-----
26.	სტეპლერის ტყვია დიდი	შეკვრა	2000	-----
27.	ფერადი ჩასანიშნი	შეკვრა	100	-----
28.	კალკულატორი	ცალი	10	-----
29.	სკრები დიდი	ცალი	500	-----
30.	კლიპი (სხვადასხვა ზომის)	ცალი	5000	-----
31.	ქაღალდი (A4)	ყუთი	10000	-----
32.	ქაღალდი (A3)	ყუთი	150	-----
33.	წებოვანი ჩასანიშნი	შეკვრა	2500	-----
34.	პლასტიკური სწრაფჩამკერი	ცალი	33000	-----
35.	ფაილი	შეკვრა	5000	-----
36.	ბაინდერი	ცალი	5000	-----
37.	ბაინდერი დაზურული	ცალი	400	-----
38.	ფაქსის ქაღალდი	ცალი	10	-----
39.	კორექტორი	ცალი	100	-----
40.	რეველი 40 ფურცლიანი პატარა	ცალი	300	-----
41.	სკოჩი დიდი	ცალი	100	-----
42.	დაფა სხვადასხვა ზომის	ცალი	13	-----
43.	დაფა ხელის საწერი	ცალი	10	-----
44.	ნაგვის ურბა	ცალი	120	-----
45.	კონვერტი პატარა	ცალი	3000	-----
46.	კონვერტი საშუალო	ცალი	15000	-----
47.	საკანცელარიო წიგნი 100 გვ.	ცალი	150	-----
48.	ბლოკნოტი	ცალი	100	-----
49.	სამაგიდე კალენდარი	ცალი	10	-----
50.	კედლის კალენდარი	ცალი	100	-----
51.	სამაგიდე ფირნიში	ცალი	300	-----

52.	მყარი პაპკა	ცალი	40	-----
53.	კომპიუტერის საწმენდი სითხე და ქაღალდი	ცალი	100	-----
54.	ლამინირებადი ცელოფანი	შეკვრა	5	-----
55.	ბეჭედი	ცალი	700	-----
56.	საეზოზე ბარათების ბლოკნოტი	ცალი	10	-----
